

ბავშვთა ჟურნალი



1928

სახეცვლილება

№ 6

„პიონერის“

რედაქცია გაღვივდა ხსალ ბინაზე:

ტფილისი, რუსთველის გამზირი, № 22

(საქართველოს კომუნისტური პარტიის
ცენტრალური კომიტეტის ყოფილი უენოზა)

ყოველგვარი მიწერ-მოწერა,
რომლის შუკნალის საკითხებ-
თან არის დაკავშირებული, ამ
მისამართით უნდა იქნას
წარმოებული

ზ ი ნ ა ა რ ს ი:

1. გაუმარჯოს კომუნას—ს. ერთაწმინდელის	2	33-	5. როგორ მუშაობენ პიონერები საბავშო ბაღში	19
2. წითელ მოსკოვში—კ. ფ—სი	7		6. დიპლოდოკი და ტრიცერატოპსი	20
3. მონადირეები—ს. ილენაშვილის	13		7. ჩვენი მეზობელი სახელმწიფოები: ფინეთი—ალ. გორგაძის	22
4. ტფილისის კნივერსიტეტის ათი წლის თავი	18		8. რადიო	24

329.153(05)

კ-47.

მუშათა კლასის საშინაოების იმპა მწაღ!



პიონერი


1928

30 მარტი

განათლების სახალხო უმისართვის სოციალური აღზრდის მთავარმართველობის და საქართველოს მ. პ. თ. ცენტრალური მითრთს (საქ. ა. ლ. უმისართვის ცენტრალური) შერნალი მავშემისათვის

წელიწადი III

№ 6



უზბეკისტანის პიონერები

575.



საქართველოს კომუნას

(დასასრული).

დ.

სადღა უნდა წავსულიყავ? ერთადერთი გზა—
ეს იყო ამათთან დარჩენა ბარეკადაზე და...

— ჟანი როგორაა, ლუიზა? — შეეკითხა ემილი
გოგოს.

— დილამდე თუ იცოცხლა, კარგიაო... მითხ-
რა დეიდა შარლოტამ, — მიუგო გოგონამ დალო-
ნებით.

ჩემ შეკითხვაზე, თუ ვინ იყო ჟანი, ემილმა და-
იწყო:

— ის ჩვენია, პატარა ბუს ვეძახით მას... ამისი
დეიდაშვილია... მე და ის ერთად ვიბრძოდით სენას
გალმა იმ კვირია, თორმეტმა ფედერალმა რომ დაუ-
შინა ზარბაზნები პრუსიელების მიერ თავის ზონაზე
ჩუმად გამოტარებულ ვერსალელებს... ჩვენ მათ ვა-
წვდილით ყუმბარებს, ვიდრე ყველანი არ დაეკენ
ურციცხვი მტრის შემოტევისას, რომელთაც ფედერა-
ლების დანაშაულებს რისხვაზე ყველა ზარბაზანი იქით
მომართეს და მთელი უბანი დაანგრის, დასწვეს, ქვა
ქვაზე დაადუღეს... მე რაღაც განგებით მხარში გა-
მაწორა ყუმბარის ნამსხვრევე და ჟანს კი მარცხენა
მკლავი აქვს მოგლეჯილი და თავი გატეხილი... აქ-
ვე ვდგავართ, სულ ორმოციოდე ნაბიჯზე... მერე
ავიკიდე და სენაზე ნავით გამოვცურეთ, ზურგით
ვატარე მთელ ღამეს...

ემილს არც კი დაეთავებინა სიტყვა, რომ ბა-
რიკადის წინ გუშავად მდგარმა ჟორჟმა მოიბრინა და
გადასცა:

— ათისთაო, ჯარისკაცები გამოჩნდნენ და რა
ვქნათ?

— აბა, იარაღთან! — გასცა ბრძანება ემილმა და
აეკრენ ბარიკადას...

ემილი პატარა წითელ დროშასთან დადგა, რო-
მელიც ორთვალას ჭაღზე იყო პატარა ჯოხით მი-
ბმული და ცეცხლის ალზე მოჩანდა ემილის ამაყი გამო-
ხედვა, თითქოს ერთი დიდი ვინმე მხედართმთავარი
ყოფილიყოს, ანუ ნაპოლეონ დიდი ბონაპარტე...

— ჩააქრეთ ცეცხლი, რომ არ შეგვნიშნონ! —
სთქვა მანვე და ლუიზამ წყალი გადაასხა კოცონს.

— ვიდრე არ მოახლოვდნენ, თოფის გასროლა
არ გაბედოთ, ტურებო! — გაგვაფრთხილა მანვე და რა-
დგან ტყვიები არ იყო აქ, რომელიც ჩემ დამბახას
გამოადგებოდა, სიამოვნებით მივიღე ლუიზას გამო-
წვდილი სანადირო თოფი, სამი ტყვიით, რომლებიც
წვრილი, საჩიტე საფანტით იყო დატენილი, მაგრამ
ჩემთვის ის მაშინ ყველაფერი იყო; ასეთი იყო მა-
შინ გატაცება პარიზის კომუნის ბავშვებისა, რომელ-
თაც შეიძლება ბევრი წარმოადგენა არ ჰქონდათ
კომუნაზე, მაგრამ ერთი კი კარგად იცოდნენ: რომ
მათი ძმები იბრძვიან ყველა ბარიკადაზე. დედიბმა
ქალთა საგანგებო ბატალიონიც კი შეადგინეს და
ბლანშის მოედნის ბარიკადაზე მისეული მაკმაგონის
ჯარები ბევრჯერ უკუაქციეს; იცოდნენ კიდევ ის,
რომ მთელი პარიზის ღარიბი ხალხი — კაცი, ქალი,
მოხუცი — ყველა იბრძოდა ვერსალიდან მომავალი მდი-
დრების: არისტოკრატების და ბურჟუების, ბანკირე-
ბის და პრინციების, გრაფების წინამძღოლობით მომა-
ვალი ჯარის წინააღმდეგ და ყოველ მტკაველ მიწას
უკანასკნელ სისხლის წვეთამდე იცავდნენ... ისინი ხე-
დავდნენ, კარდინალები როგორ მოსდევდნენ მათ გვერდ-
ზე ჯვრით ხელში და პარიზში დარჩენილი,
კომუნის დროს თავმოკატუნებული მდიდარი ვაჭ-
რები როგორ უწვდიდნენ ჯარისკაცებს ღვინოებს,
როგორ ათრობდნენ, რომ მათ უფრო შეუბრალებ-
ლად ჩაეღრჩოთ სისხლში ის ხალხი, რომლებსაც
ეძახდნენ კომუნარებს და რომლებმაც არაფერი აფ-
ნეს რა ამ ვაჭრებს, როცა ისინი აქ დარჩენ, რა რომ
კომუნა გამოცხადდა 1871 წლის თვრამეტ მარტს
და ტიერი ვაიქცა ქალაქ ვერსალში თავისი ერთ-
გული ჯარებით; ბავშვები ხედავდნენ ყოველივე ამას
და განსაკუთრებით ერთი ჟრუანტელის მომგვრელი
სიტყვა დაიხეპირეს, რომელიც ესმოდათ მათ იმ ხალ-
ხისაგან, რომელთაც ეძახდნენ კომუნარებს, და ეს
სიტყვა იყო:

— გაუმარჯოს კომუნას!
და მათაც მოჰკიდეს იარაღს ხელი, მათაც შეა-
დგინეს დიდების მსგავსად რაზმები და შეჰყვირეს:
— გაუმარჯოს კომუნას!

მ.

— თქვენ, ეი, ძაღლის ლეკვებო, დაიკარგეთ მანდედან და თვალთ აღარ დაგვენახოთ! —

დაიღრიალა პატრულის უფროსმა, რა ბარაკადა შენიშნა და მუქარა გადმოისროლა.

— ჩვენ შენ არ გერჩით და გირჩევნია გაიარო შენ გზაზე! — მიუგო ემილმა.

— იერიშზე! — ეს იყო სერჟანტის უკანასკნელი ბრძანება, რადგანაც ყელში სასიკვდილოდ ახრი-
აღდა...

— ვვუუუუ! — იგრიალეს ჯარისკაცების თოფებ-
მა და მათთან ერთად გაისმა მათივე საერიშო ყი-უხანა...

— აჰ!!! — შეჰკვივლა ემილმა და გულს ტყვია
ნაკრავი გადმოეშვა ბარიკადიდან.



პიონერები ესაუბრებიან უპატრონო ბავშვებს.

— რაო?! — აენტო სერჟანტი და რა დამბახის-
კენ წაიღო ხელი, ჩემ გვერდზე იგრიალა თოფმა
იშის ხელში, რომელმაც წყლან შემაჩერა შუბით.

— აა, მაშ ეგრე?! — მოისმა სერჟანტის მუქარა
და დაეცა.

— ჰე, მოხვდა! — წამოიძახა ჩემმა მსროლელმა
მეზობელმა.

— მე არ გითხარით, უჩემოდ ნუ ისვრით მეთ-
ქი? — უსაყვედურა ემილმა.

— რა ვქნა, ჩემდა უნებურად გამოვეუშალე ჩახ.
მახი... — თითქოს დარცხვენით უპასუხა ეიულმა.

— მაშ, აბა მზად იყავით, ალბათ ეხლავე შე-
მოგვტევენ! — დაიძახა ემილმა და რა უნდა თოფის
ჩახმახი აეწია, გაისმა:

— გაუმარჯოს კომუნას! — იყო მისი უკანასკნე-
ლი თქმა და ლუიზას მკლავზე დალია სული.

— გაუმარჯოს კომუნას.

• ვიყვირეთ ჩვენც თოფების დაცლასთან ერ-
თად და მეტი აღარაფერი მახსოვს...

ალბათ დაგვძალეს ჯარისკაცებმა, ალბათ დაგვა-
მარცხეს და ზედ გადმოგვანგრიეს ბარიკადა, რომ ქვეშ
მოგყევი და რა მამლის ყივილი შემომესმა მახლობელი
ეზოდან, თვალი გავადე, თითქოს შევნიშნე, რომ ნაც-
რისფრად თენდებოდა და წვიმა სცრიდა, თითქოს ცაც
კი დასტიროდა დაღუპულ პატარა კომუნარებს... და
აირია ჩემს თვალში ყველაფერი, დაბნელდა, დავკარ-
გე გონი...

ეხლაც არ ვიცი, ეს ყბა რით გამეჩეხა, ღარ-
სავით რომ მატყვია აქამდე...

3.

— და არც ის გახსოვს, მუსიე კორნიე, პერ-
ლაშეზე როგორ მოხვდი?— შეეკითხა ლეონი ლიმი-
ლით.

— აბა საიდან... მე მგონია, რომ ალბათ სხვა
დახოცილებს რომ აგროვებდნენ, მეც მათ სიაში ჩამ-
რიცხეს და დამადეს ოთხთვალაზე, როგორც მაშინ
ყრიდნენ ხოლმე დახოცილებს, ერთმანეთზე ღორე-
ბივით, და ჩაგვყარეს უკვე აღრევე გათხრილ სამარე-
ში... მაშინ ბევრი შემთხვევა იყო ცოცხლად და-
ჭრილის დამარხვის... მერე ბევრჯერ შემხვედრია მა-
შინდელი მოხუცი ხალხის საუბრის მოსმენა და მესა-
ფლავე გუიონის, რომ დამარხვის ორი სამი დღის
შემდეგაც ბევრი საფლავიდან ისმოდა კვნესა და შვე-
ლაზე ძახილიო...

— მალე ამ საზიზლარი ტიერის შთამომავლო-
ბას ავაკენსებთ იმავე საფლავიდან!— წარმოსთქვა
ლეონმა კბილების კრაჭუნით და მუშტი მაგიდაზე
ისე მაგრად დაჰკრა, რომ ლუღხანის პატრონი იმწამ-
სვე აეტუხა წინ.

— წავალთ, მაგრამ, შენ, ვგონებ, არ დავითა-
ვებია, მოსიე კორნიე...— შეჰღიმა ლეონმა.

— და განა ამ ორიოდ საათის მოთხრობით
ამოიწურება პარიზის კომუნის უკანასკნელი დღე-
ების საშინელი სურათები? მერე, ოდესმე...

— არა, მოსიე, შენ როგორ აღსდექი მკვლრე-
თით?

შეეხუმრა ლეონი...

— როგორ და არ ვიცი... ჰო... ვგონებ ასე
იყო... ვიგრძენი რალაცა, რომ, თითქოს სახეში მცემ-
და ვილაცა, თვალები გავაღე და მიწა ჩამოცვინდა...
დავიწყე ხელების ფათური იმასავით, ვინც წყალ-
ში იხრჩობა, მინდა ავდგე, მაგრამ ვერ ვინძრე-
ვი... თავი მიბრუსის, ყურები მიწივიან... ცოტა გაფ-
ჩერდი, ყური დაფუგდე... ჩემს ზემოდან რალაცები
დარბიან თითქოს, არ ვიცი, კატებია თუ ლეკვები,
თითქოს წკმუტუნებენ თუ კნავიან, ვერ ვარჩევ...
რალაცამ გულზე გადამისრიალა, შევინძერი და რა
ხელები ძირს დავიბჯინე ასადგომად, გულალმა მწო-
ლარემ, ხელები ვილაცა კაცის სახეს მოხვდა; არ ვი-



ინტერნატის პიონერების საქმიანობა

— მიბრძანებთ რასმეს?— შეეკითხა ის და ხვნი-
შით ხელები მუცელზე დაირტყა.

— არა!— იყო ლეონის მოკლე პასუხი და ზიზ-
ლით შეხედა მის ჭარხალსავით გაწითლებულ სახეს...

— არ წავიდეთ, ლეონ?— შეეკითხა კორნიე.

ცი, თუ ვარ ბურანში? მაგრამ ერთი მაგრად კი შე-
მეშინდა და წაძოვხტი... ხელები უკან დამიბჯენია
და ვიყურები ირგვლივ... თვალები მიწით ამომესე-
ბია და ველარ ვაღებ, გამოდარებული ციდან კი მხურ-
ვალე მზე სხივებით მწიწკნის თვალებს, თავი მი-

ბრუსის, მძიმედ მეჩვენება ისე, თითქოს რამოდენიმე ფუთიანი მეკილოს თავის მაგიერ... ირგვლივ ჯვრები, მატურები, ძეგლები, სამარეებზე აყვავებული ზამბახები, იასამანი... მესიამოვნასუნის, მაგრამ აქ რა მინდა? დავიხედე ჩემს წინ და ვხედავ: თუმცა ზევიდან თხლად მაყრია მიწა, მაგრამ შაინც ჩაფლული ვარ, დამარბული, ორი კატის კნუტი კი, რომლებიც ჩემს სამარეზე მალაყს გადადიოდნენ, დათამაშობდნენ, ალბათ, გაშტერებით შემომტყერის... დავიხედე ძირს და რა რამდენიმე მკვდარი შევნიშნე, ის იყო უნდა წამოვმხტარეყავი თავზარდაცემული, რომ პატარა გოგონა მოვიდა და მითხრა:

— ნუ გეშინია... ჯერ არ ადგე, იყავი ასე... მე როცა გეტყვი, მაშინ... — ამ სიტყვებთან ერთად გულზე ხელი მკრა და ოდნავ ისე წამაყარა მიწა, რომ სახე ღია დამიტოვა და ახლად აბიბინებული ბალახები დამაფარა...

— მაინც რა ამბავია, რად უნდა ვიყო ასე? — ამოვძახე ჩემი სასახლიდან...

— რათა და ეგრე უნდა... ვერსაღელებმა რომ გნახონ, მოგკლავენ... მე აქ ვიჯდომები საფლავის ქვაზე, ბუჩქს ამოფარებული, და თუ რამე დაგჭირდეს, დამიძახე... მე ლილიანი მქვია...

— ლილიან, პური... წყალი — ეს იყო ჩემი პირველი თხოვნა...

— ყველაფერი მაქვს აქ დამზადებული შენთვის. მერე... მაგრამ ჩუმად... ვერსაღელებს მოუდიოთ დასახვრეტები...

და ამ სიტყვებთან ერთად იგრილა თოფებმა რამდენჯერმე და გაისმა შეძახილი:

— გაუმარჯოს კომუნას!

8.

— ჯერ კიდევ კარგახანს ვიწეკი ვატვრენილი და მეშინოდა ლილიანის დაძახება; ვაი თუ რომელიმე ვერსაღელმა მოჰკრას ყური და ტყუილი მკვდარი მართლა გამგზავნოს მეთქი იქით, სადაც თავისი ნებით არცერთი არ მიდის სიამით...

— აბა, ეხლა კი ადექ... — მომესმა ლილიანის ხმა და მიწის გადაყრა მიშველა, ხელი მომიკიდა...

რა ავდექი, ერთი კიდევ მივიხედე ჩემი საცხობრებლისკენ, თითქოს დამნანებოდეს მისი დატოვება და რა ჩავიხედე, იქ შევნიშნე წუხანდელი ჩემი გაცნობილი კარდინეს ქუჩის ბარიკადელები... ძნელი იყო იმათი ცნობა, ჯერ ერთი იმიტომ, რომ დამით შევხვდი, რომ კარგად დამხსომებოდა მათი სახე და დამევე გავეყარე მათ, ანუ, უკეთ რომ ვთქვა, გავეყარეს ჯალათებმა და მეორეც, — ისე იყვნენ დასახიჩრებულნი და სისხლში და მიწაში გასვრილნი, რომ

ძნელი იყო მათი გარჩევა; მაგრამ აქ იყო ემილი, ბარიკადის მეთაური. იმისი ვაჟკაცური სახე კარგად აღმებეჭდა მესხიერებაში, როდესაც ის ბარიკადაზე ახტა და დროშას მოჰკიდა ხელი, ამაყად დახვდა პატრულის შემოტევას, მერე იმისი სიკვდილი ლუიზას მკლავზე... ალბათ ლუიზაც მაშინ გაგმირეს, როცა ის ცდილობდა ემილის დახსნას სიკვდილისაგან, ალბათ სიმწარით ისე მაგრად მოხვია თავისი პაწია ხელები ემილს, რომ ისევე გაშეშდა, თორემ აბა ის ოქროსთმიანი გოგო ვინაა, ეხლა რომ საფლავში ასე ტკბილად ჩახუტებია?

— ემილ! ლუიზა!.. — ამ სიტყვებთან ერთად ამიტორდა გული და თუ არა ლილიანის მოშველება, ალბათ ნებით თუ უნებლიეთ ისევე იქ გადავეშვებოდი... თანდათან ვგრძნობდი, რომ ესუსტდებოდა და თვალთ მიბნელებოდა; საშინელ თავის ტკივილს ვგრძნობდი და მაჭრიალებდა ტანში, გახეთქილი ლოყიდან გადმონადენი სისხლი შედედებულიყო შავად და მიწით ზედვე მქონდა შემხმარი...

— აქეთ, წამოდი, მანდ ნუ იყურები... აი ქვაზე ჩამოჯექი... — მითხრა ლილიანმა დამიშველა მახლობელ საფლავის ქვაზე ჩამოჯდომა...

პური და ყველი მომცა, მაგრამ ვერა ვჭამდი, თითქოს კრიჭა შემეკრა, ყბებს ვერ ვანძრევდი. პირს ვერ ვაღებდი, თავბრუ მეხვეოდა... წყალი მოვითხოვე, მაგრამ მთხოვა არ დამეღია და მხოლოდ პირში გამომეწლო... ასე დამარბია, მამამაო... დაჭრილ კაცს ჯერ არ დაეღევა წყალიო... თუმცა ძალიან მწყუროდა, მაგრამ ყველაფერში ვემორჩილებოდი, ჩემ მხსნელად ის მიმანდა და ასეც იყო...

— შენ რომ დილას ოთხთვალაზე სხვებთან ერთად დაგდებული მოგიყვანეს ვერსაღელებმა და მამიჩემისთვის მიენდოთ თქვენი დამარბვა ორი ჯარისკაცის დახმარებით, მამას შეემჩნია, რომ შენ მკვდარი არა ყოფილიყავი ჯერ და ზეიდან მოექციე, მიწა თხლად წაეყარა და მე დამაყენა ჩუმად, თუ ხმა გაიგო აქედან, ნუ შეგეშინდება და დაარიგე არ ადგეს, ვიდრე მე არ მოვიდეო... მამა ალბათ ჯერ კიდევ მუშაობს დამარბვაზე და წამო ჩვენსა... იქ დედაჩემი დაგბანს, ჭრილობას შეგიხვევს და, თუ ვერსაღელები მოვიდნენ, ფარდულში დაგმალიავ... წამო...

მიპასუხა ჩემ შეკითხვაზე ლილიანმა, თუ აქ როგორ მოხვდი და დამიჭირა ხელი, ნელა, ფრთხილად, მატურებსა და ჯვრებს შორის გაპარებით მიმიყვანა მესაფლავის სახლამდე, რომელიც იქვე ახლოს იყო...

ეს სიტყვები და სურათები ისე მახსოვს, თითქოს გეშინ მომხდარიყოს...

თ.

გავიდა ხანი...

პარიზის კომუნა სისხლში ჩაღრჩეს... ჩემთვის პარიზი გადაიქცა,—არათუ ჩემთვის, ყველა მშრომელისათვის,—სასაფლაოდ, ციხედ, კატორღად...

რა სამი დღის შემდეგ დავტოვე პერ-ლაშეზი და წამოვედი, თან წამომყვა აქიდან საშინელი სურათები, მესაფლავის კაცთმოყვარეობა, მისი ცოლის ჩემზე მზრუნველობა და ლილიანის ლურჯი თვალების სათნოება... აი ახლაც თითქმის თვალწინ მიდგია მისი ანგელოსისებური მშვენიერი და ბავშური, სიყვარულით აღსავსე, სახე...

— თუ ოდესმე მოგავიწყდება, ვაიან, მინახულე... ეს იყო იმისი უკანასკნელი სიტყვა...

წამოვედი, მაგრამ კი არ ვიცოდი სად მოვდიოდი...

ყველგან მკვლევლები, დახოცილები და სისხლის ღვარები მელანდებოდა, მელანდებოდა კი არა, ნამდვილად ასე იყო...

მე ვიცოდი, რომ მარტინეს ქუჩაზე იყო ჩემი ერთი შორეული ნათესავი და იქამდე მივდიოდა მიმდევრად, მაგრამ ძნელი იყო სვლა...

ქუჩებზე ჯერ კიდევ ეყარა დახოცილები, თითქმის ერთი კვირისა, და საშინელი მძოვრის სუნით ტრიალებდა...

ჩემი თვალთ ვნახე, გენერალი მარკიზ დე ვალიფე როგორც აჩერებდა გამვლელ მოქალაქეებს, პატრულებს ხშირად თვითონ დაუძღვებოდა... ეს იყო იმავე დღეს, სენის ნაპირას, ხიდის ყურზე და მე ვისარგებლე ბინდით, ხიდის ბურჯზე ჩამოკიდულ რკინის მოაჯირის ქვეშ ჩატარებულ ღარში ვკართავი..


— შედექ! ვინა ხარ?—გაისმა გენერლის ბრძანება

— მოქალაქე!—იყო გამვლელის პასუხი.


— აბა ხელი მაჩვენე. ჰმ... დაკოჭრილი? გამუჭული? მაშასადამე მუშა... და უეჭველად კომუნარი, ალბათ... ბარეკადაზეც იბრძოდა ჩვენს წინააღმდეგ... აბა, ლეიტენანტო, კედელთან!..—და ვალიფეს ამ ბრძანებას მასთან მყოფი პატრულის ლეიტენანტი აქვე ასრულებდა...

ასეთია პარიზის კომუნის ამბავი,—დაასრულა კორნემ...

ს. ერთაწმინდელი



პიონერები ისმენენ რადიო კონცერტს.



სერგო და ელენე კომუნისტები იყვნენ და მოსკოვში მუშაობდნენ. მიიღეს რა ზაფხულის შვებულება, ისინი წავიდნენ ევპატორიაში თავისი ჯანმრთელობის გამოსასწორებლად. ელენე ძალზე საჭიროებდა ცხელ ტალახის ვანებს, სერგო კი, სამხრეთელი, მუდამ დარდობდა მზეზე.

რამდენიმე წელია, რაც ისინი დამეგობრდნენ, ერთად მონაწილეობდნენ ოქტომბრის რევოლუციაში, ერთად სიმშობობდნენ მძიმე წლებში. მათ ბავშვები არ ჰყავდათ და ჩიკა, იტალიიდან ჩამოსული ბავში, ვახდა მათი სიყვარულის და დაუშრეტელი მზრუნველობის საგანი. ნასადილევს, ორი საათის შემდეგ, ქალაქში გამგზავრებული ელენე დაბრუნდა ნაპირზე და მოსძებნა სერგო და ჩიკა. მან მოუტანა ბიჭუნას ხალათი, შარვალი და თათრული ქუდი. ფეხსაცმელების და სხვა რამეების ყიდვა გადადებულ იქნა მოსკოვში წასვლამდე.

ნაპირზე ჩიკასა და მისი ახალი ნაცნობების ირგვლივ შემოიკრიბა ხალხი; ყველა მხიარული სიცილით უსმენდა ბიჭუნას ამბებს, რასაც, რასაკვირველია, თარგმნიდნენ ელენე და სერგო.

როდესაც მზე დაეშვა, მეგობრებმა გასწიეს შინისაკენ. უპირველეს ყოვლისა, სერგომ მოუწყო საწოლი ჩიკას თავისი მეზობლის, ძველი მეგობრის, ოთახში. შემდეგ მოუსხდნენ ვახშამს; საუზმობდნენ ტერასაზე—თევზი კვერცხები, პური და კარაქი. ელენემ ყველას ჩაი დაუსხა და ჩიკა, რომელსაც თევზის შემდეგ ძალზე სწყუროდა, მოუთმენლად ელოდა ჩაის შენელებას. იტალიაში ჩაის არ სვამენ, სვამენ მხოლოდ ყავას და მას ძალზე ეინტერესებოდა გაეგო, თუ რა გემოსი იყო ჩაი.

სერგო და ელენე უყურებდნენ მას და ერთმანეთს გადაჰხედავდნენ ხოლმე; დაქანცული ბიჭუნა ვერ ამჩნევდა ამას.

ბოლოს, როგორც იქნა, ჩაი შენელდა, ჩიკამ ჩაიყენა პირში ჩაი და იწყო პირის გამორეცხვა; სერგო და ელენე სიცილით დაიხიცვნენ.

— თფუ! ეს წამალია, ეს ხომ შხამია, სიბინძურე...

— როგორ, — სთქვა სიცილით ელენემ, — ეს ჩაის ბუჩქის ფოთლებია.

— მაგრამ მე არასდროს არ დამიღვევია არავითარი ფოთლები. მე მეგონა იგი ლუდს ჰგავდა.

— ეე! მე ვიცი, რაშიაცაა საქმე! დაშაქრე ჩაი? — ჰკითხა სერგომ. — აბა ახლა გასინჯე! ჩიკა დაიღრჩა და შემდეგ გაიცინა.

— ეს სულ სხვა საქმეა, — ყოველ შემთხვევაში, ტკილია. ასე გაეცნო ბიჭუნა ჩაის. შემდეგ კი ნელ-ნელა შეეჩვია. — აბა, ეხლა კი მეორე ოთახში! წამოიძახა სერგომ. ბიჭუნა გამოემშვიდობა სერგოს და ელენეს და წავიდა დასაძინებლად. მაგრამ ერთი წუთის შემდეგ მისი დაქანცული სახე კვლავ გამოჩნდა კარებში.

— მითხარით, აქ არის თუ არა ფოსტა? — იკითხა მან.

— რასაკვირველია, მაგრამ რისთვის გინდა?

— სან-ფრედლიანოში შეიძლება წერილის გაგზავნა?


— შეიძლება, შეიძლება. მხოლოდ ახლა კი წადი და დაიძინე, — ხვალ დავწერთ.

— მაშ კარგი.

ჩიკა თვლების სრესით გავიდა ოთახიდან.

— უსათუოდ დავწერ, — ფიქრობდა ის. და, მართლაც, დილიდან თორმეტ საათამდე ბიჭუნა ეჯდა ძალზე გრძელ ქალაღს და სწერდა წერილს. შემდეგ, მიდიოდა რა ზღვისკენ სერგო და ელენესთან ერთად, შეუზვიეს გვერდით და გააგზავნეს წერილი იტალიაში, კამალდოლის ქთხზე.

ერთი თვე ევპატორიაში ჩქარა გავიდა და ჩიკამ მოასწორო კარგად ესარგებლნა მით. მას ჰყოფნიდა დრო ყველაფერზე; გრძელ დღეებში იგი ასწრებდა ბანაობას ზღვაში, მზის ვანების მიღებას, ხეტიალს მიდამოებში და მთელი რაიონის ბავშვების ხელმძღვანელობას.



...ის ხელების შლით და ყურმოკრული რუსული სიტყვების ნაწყვეტებით უსმენდა, თუ როგორ უნდა გაკეთდეს ბარიკადები, როგორ უნდა მოითხაროს ორმოები და ტრანშეები, და როგორ უნდა აიშართოს ბასტიონები; ის იყოლიებდა გუნდებს და მღეროდა იტალიურად სარევოლუციო სიმღერებს, ბალები კი ბანს აძლევდნ რუსულად. ეს მას სრუ-

როცა კი აგონდებოდა, რომ ისინი მიდიან მოსკოვში, ცმუკავდა სიხარულით. მოსკოვში, ამ წითელ ქალაქში, ამ რესპუბლიკათა დიდებული კავშირის ცენტრში!

მოგზაურობა მისთვის ნამდვილი დღესასწაული იყო; უბრალო რკინისგზის რონოდა, რომლითაც ისინი მიდიოდნ, მას ფუფუნებად ეჩვენებოდა. ამინ-



წინამძღოლი პიონერებს ესაუბრება ქალთა საერთაშორისო დღის მნიშვნელობის შესახებ

ლიადაც ხელს არ უშლიდა ესწავლა რუსული ენა ელენესაგან, სერგოსთან კი გასცნობოდა გეოგრაფიას, ისტორიას, ბუნებისმეტყველებას და არითმეტიკას; ბევრ სიამოვნებას ღებულობდა სერგოსთან კაცობრიობისა და პოლიტიკის შესახებ ბაასში. მისი ბურჟუაზიანი გრძნობები და ხლართიანი წარმოდგენები თანდათანობით ირკვეოდა, აშკარავდებოდა და მავრდებოდა.

სერგო ყოველ ცისმარე დღეს ღრმად რწმუნდებოდა, რომ ჩიკას თავის დროზე შეეძლო მოეტანა საერთო საქმისთვის საგრძნობი სარგებლობა; სერგომ თავის კომუნისტ-ამხანაგებშიც კი, რომლებიც მოსკოვში ცხოვრობდნ, დახარჯა რამდენიმე საქები სიტყვა ამ ბიჭუნა ჩიკაზე.

ასე შეუმჩნევლად გავიდა ივლისის ბოლო რიცხვებიც, დადგა ოცდაათი რიცხვი და გუდკოვები ჩიკასთან ერთად შეუდგენ გზას.

ჩიკა სიხარულით ცას დაეწია მარტო იმ ფიქრებით, რომ მას დიდი მოგზაურობა მოელოდა.

დი იშვიათი იყო: ლურჯი ცა, დღისით მნათობი მზე, ღამით უთვალავი ვარსკვლავები.

ჩიკამ გაიღვიძა თუ არა განთიადზე მალლა, საწოლზე, მამალსავით შემოსძახა, რისთვისაც ვილაც მძინარმა შეუკურთხა მას; მერე ჩიკამ თავი გაპყო ფანჯარაში და მიეკრა მას, ის თავს თუ მოაშორებდა მას, ისიც მხოლოდ მიტომ, რომ გადამხტარიყო გაჩერებაზე, ან არა-და ეჭამა რამ.

ჩიკას სიხარული ძალაუნებურად იყოლიებდა მის თანამგზავრებს, გლეხებიც კი გასაჩერებელ ბაქანზე ხითხითებდნ, რომ შესცქეროდნ მისი სახის მოძრაობას, მის აღტაცებას.

როგორ ოქროს ზღვა, დამწიფებული თავთავები ღაღად ქანაობდნ ქარზე. ჩიკასთვის ყველაფერი თვალწარმტაცი იყო,—სახლი, სოფელი, სადაც თითქმის არც კია ხეხილები, თვით გლეხების ტანისამოსიც კი თვალს სტაცებდა; იქით კიდევ გადაჭიმულია ველები და ტყეები, რომლებიც მას არასოდეს არ უნახავს, ეს ტყეები ჩრდილოვანნი,

მწვანე და ნუგბარი! აგრეთვე მინდვრები, მდელოები, თითქო მუქ-მწვანე ხალიჩებიო, ისე მოქარგული ნაირ-ნაირი ფერადებით! გაფრინდა დღე, ჩიკამ პირველად ნახა ხის ქოხები; მას ლამაზებად ეჩვენა ეს ქოხები! მას მოეწონა აგრეთვე რუსული ტანისამოსი,—გაღვიწილი პერანგი, თასმით შემოკრული; ბარძაყებში განიერი და მუხლებში ვიწრო შარვლები და მასთანავე მაღალი წაღები.


თავისთავად ცხადია, თვით ჩიკა როგორი გამოჩნდება ამნაირ წაღებში!

დადგა საღამო ხანი; მოჩანდა ხშირი სოფლები, მერე ისე გვეგონებოდა, თითქო ეს სოფლები შეერთდნენ და გადაქცნენ ერთ დიდ ვეებერთელა და დაუბოლოვებელ სოფლად; შემდეგ გამოჩნდნენ სახლები ორ და სამსართულიანებიც კი; სამრეკლოები და ფერადიანი გუმბათები, ოქროსფრად შევარაყებულო ჩამავალი მზის სხივებით. მოსკოვი! კი, ეს მოსკოვი იყო!

— აბა შეხედე, — სთქვა ელენემ: — ხედავ, იქ მთელი ტყეა სამრეკლოების და გუმბათების! ეს კრემლია!

— კრემლი! — სიხარულით აღუტყვევდა ბიჭიკო.

მატარებელმა შეუხვია და საუცხოვო სანახაობა გაქრა.



* *

ჩიკამ პირველად ნახა მოსკოვი ახლო ბინდისას. განუწყვეტელი მოძრაობა ჯაგვებისა, ჯგუფები მუშა-მოსამსახურეებისა, მრუდე ქუჩები და ჩიხები, მშვენიერი შენობები, თვალწარმტაცი განიერი ბულვარები, ბიჭების მსტომიარე და მომყვირალე გუნდები, ტრამვაის ზარების რეკა და სამრეკლოების გუგუნე, ელექტრონის ფარნების შუქი და ავტომობილების სწრაფი მოელვარე თვალეები...

ოჰ! როგორ გამხიარულდა და ნასიამოვნები დარჩა ჩიკა!

— ჰმ! მოდი და დაიჯერე ფაშისტების ყვირილი — რუსეთი მოკვდაო!

* *

აი, ესენი ახლა შინ არიან, გუდკოვის ბინაზე. ორი პატარა ოთახი, რაც კი საჭიროა ავეჯი და ძალზე ბევრი წიგნი. ხელდახელ დაუნაყრდით. ელენემ გამოსწია ორი ძველი დიდი სავარძელი, გადააფარა ფარდაგი, — ეს იყო მისი საუნჯე, — ჩიკა გაიჭიმა მასზე და მაგრად დაიძინა. დილით, სანამ ელენე საუზმის მომზადების ფუსფუსში იყო, სერგომ წიგნების გროვიდან გამოიღო მოსკოვის გეგმა

და აჩვენა ბიჭიკოს, როგორ უნდა გასცნობოდა მას.

— ეს შენი საჩუქარი იქნება, ღიმილით უთხრა სერგომ: რომ არ დაიბნე მოსკოვში, თან ატარე რუსული წარწერები შეგიძლია იტალიურ ენაზე გადათარგმნო.

— მოვახერხებ, ნუ გეშინია.

— მაშ ჩაი დავლიოთ და შევეუდგეთ მუშაობას; გინდა ჩემი გაცილება?

— მინდა. მაჩვენე, სადა მუშაობ.

— აი აქ, კრემლის ახლო. იქიდან წახვალ, სადაც გინდა, — დაათვალიერე ქალაქი. მხოლოდ ექვს საათზე შინ იყავ, თვარა დაგვიანდება სადილი.

— კარგი, კარგი, — სიცილით მიუგო ჩიკამ რუსულად, — მას უკვე ჯიბეში ედო ბევრი რუსული სიტყვა.

ის ცდილობდა ცოტა ელაპარაკა იტალიურად.

— კმარა მასლაათი, თორემ ჩაი გაგიცოდებოთ, შენიშნა ელენემ.

ჩიკამ დაკეცა რუკა, ჩაიღო ჯიბეში და მიუჯდა მაგიდას.

— მოსკოვშია ცეგლებია? — უცბად ჰკითხა ბიჭიკომ.

— როგორ არა, რასაკვირველია.

ახლა ლაპარაკი ჩამოვარდა ძეგლებზე, მუზეუმებზე; ჩიკამ არც კი იცოდა რა იყო მუზეუმი, — ფლორენციაში ძინძების მუზეუმში არ უშვებენ.

ამ ბიჭუნას თვალეები უბრიალებდა, როგორც თავუნას.

— ათის ნახევარია, ახლა კი დროა წავიდეთ, — სთქვა ელენემ.

ჩიკა დაბრუნდა შინ პირობისამებრ, ექვს საათზე, დაბრუნდა ძალზე დაღლილი, მასთანავე ნასიამოვნები ქალაქის ნახვით და ათასნაირი გაკვირვებით აღსავსე.

თითქმის მძინარი, თვალეებში ბნელი დაჯდა სასადილოდ.

— რა, კარგია მოსკოვი? — ჰკითხა სერგომ: სად იყავ, რა ნახე?

— გავშორდი თუ არა, მე წავეღო პირდაპირ, სადაც თვალი მეუბნებოდა, მიველ წითელ მოედანზე! იქ კრემლია, მასზე კიდევ წითელი დროშა! ოჰ! რა კოშკებია იქ! საათი უკრაფს ინტერნაციონალს! კედელთან საფლავებია; მე მეგონა, რომ იქ წევს ნინი. მერე გვერდით — განიერი პასაჟი! მე იქ გამოშვეს. მერე მე წავეღო ქვევით — იქ კი ლამაზი ქუჩებია.

მერე ვნახე ბულვარები, მივდიოდი, მივდიოდი და სულ მივდიოდი და მერე დავინახე დიდი შენობა, მისი კედლები და მეზობლად სახლები დაზინებული და დასვრეტილი იყო. ალბათ ომი იყო რევოლუციის დროს.

— ნიკიტის კარებთან?

— მგონი...

— კი, იქ ჩასაფრდენ კადეტები და ჩვენ გამოვყარეთ იქიდან.

— იქ უეჭველია, დიდი ომი იქნებოდა.

— ეგაა შენი ნაპოვნი? — მხიარულად ჰკითხა პევზნერმა სერგოს და ფეხზე წამოდგა: ყოჩაღი ჩანს, ყოჩაღი! დასხედით, ჩვენ კი დავამთავრებთ თამაშს.

ჩიკას ეს კაცი მოეწონა. ეს იყო შუატანის, პირმოპარსული კაცი, მაღალშუბლიანი და ნათელი თვალებით.

— მოდი ახლა კი ჩვენ ვითამაშოთ ჭადრაკი, — მიეაღერსა პევზნერი ჩიკას, როდესაც მორჩა თამაშს.



ბონერები ვარჯიშობენ

— რასაკვირველია. მე მაგას სხვა დროს ვიამბობ. ახლა დაწექ, დაიძინე. შენ უკვე გეთვლიმება. ხვალ მოვასწრებთ ლაპარაკს.

*
*

მეორე დღეს სერგომ წაიყვანა ჩიკა თავის მეგობარ ალექსი პევზნერთან.

ფართე ბინა ჰქონდა პევზნერს. კედლებზე ეკიდა სურათები, სასადილო ოთახში და კუთხეში იდგა რბილი დიდი სავარძელი. მეორე კედელთან იდგა განჯინა, განჯინაზე ფაიფურის სპილოები — მომცროები და კიდევ ნაკლები.

როდესაც სერგო და ჩიკა შევიდნენ სასადილოში, მაგიდაზე ორი ქალი სვამდა ჩაის, მათ პირდაპირ იჯდა ორი კაცი — ერთი მათგანი იყო თვით პევზნერი; ისინი ჭადრაკს თამაშობდნენ.

ჩიკა შეკრთა, დაიწყო ახსნა, რომ არ იცის ჭადრაკი. სერგომ გაღუთარგმნა პევზნერს ჩიკას სიტყვები.

— უბრალო. საქმეა, ადვილად გასწავლით, — და მოისვა ბიჭუნია გვერდით: მე და სერგო ვითამაშებთ და შენ გვიყურე. სერგო, შენ უთარგმნე: ეს ლაზიერია, ეს მხედარია, ეს პაიკია. — დაიწყო მან ჩვენება: უყურე: პაიკი ასე დადის, მხედარი ასე, ლაზარი ასე...

ერთი საათის შემდეგ ჩიკა გატაცებით თამაშობდა ჭადრაკს თავის ახალ უცნობთან.

— მგონი ერთი-ორი დღის შემდეგ კიდევ მაჯობებ, — მოსწონდა პევზნერს ჩიკას თამაში.

იმ დღიდან, როდესაც კი სერგო მიდიოდა ხოლმე პევზნერთან, ყოველთვის თან მიჰყავდა ჩიკაც.

ჩიკა თვითონ იღებდა ყუთიდან ჭადრაკის დაფას, აწყობდა ფიგურებს და დაეძებდა პარტნიორს. ხშირად მისი პარტნიორი იყო პევზნერის სტუმარი, გამხდარი და მელოტი კაცი, გამოუჩვეველი წლოვანებისა, წვეტიანი წვერით და შეკრეჭილი უღვაშებით. ეს იყო კუბანსკი, დიდი სწავლული და ძველი რევოლუციონერი. როდესაც ის უამბობდა შემთხვევებს, რომელნიც მან განიცადა თავის ხანგრძლივ ცხოვრებაში, ბოლო არა ჰქონდა მწარე და მწვავე ამბებს; ჩიკა ინაბებოდა, თვალები კი განზე გაჰქონდა და სმენად გადაქცეულს ავიწყდებოდა თავისი სვლა, როცა კი მისი ჯერი იყო.

* *

ავვისტოს ბოლოს მოაღწია სკოლაში წასვლის დრომ. სკოლა იყო შორს მოსკოვიდან, მიწდვრებას და ტყეებს შორის.

ჩიკა მივიდა და უბირველეს ყოვლისა ჩაეწერა პიონერად.

ბავშვებმა მთელი დღე ცის ქვეშ გაატარეს; აქ სწავლობდნენ, საუზმობდნენ და სადილობდნენ კიდევაც. ბავშვები რიგ-რიგობით აქ ამზადებდნენ საჭმელს და დარაჯობდნენ სარდაფს. სირბილი და თამაშობა შეიცვალა სწავლით, იქ კი—ყველა მირბოდა, სადაც მიიზოჯანებოდა მდინარე მოსკოვი, ბანაობდნენ, ცურაობდნენ, ყურყურაობდნენ და ეჯიბრებოდნენ ნიჩბების მოსმაში.

კვირაში ერთხელ ჩიკა მიდიოდა პევზნერთან და ამ დროს იქ ყოველთვის იყვნენ გულკოვები და მათ გარდა კიდევ იკრიბებოდა ხუთიოდე კაცი—მათი მეგობრები; ჩიკას ძან უყვარდა ეს საღამოები. ხანდახან ვიღაცა გაიხსენებდა ძველ ამბებს: მეფის რეჟიმს, თეთრგვარდიელებს, ჭერ ქვეშ მუშაობას, კონსპირატიულ ბინას, ფარულ სტამბებს. ბიჭუნის ენთებოდა თვალეები და ხელები თავისით იკრუნჩხებოდა მუშტად. მას სწამდა ძლიერ, რომ მარტო კომუნისტს შეუძლია მოუტანოს ბედნიერება მთელ მსოფლიოს.

მისი საუკეთესო მეგობრები იყვნენ ვანია კუსკოვი და ფიშელი ვაინშტეინი, ერთი—რუსი, მაღალი, მკვრივი ახალგაზრდა, ქერა და რბილი თმებით, აწეული ცხვირით, მეორე—უკრაინელი ებრაელი, შავი ცოცხალი თვალებით, შავგვრემანი და ხუჭუჭთმიანი. ისინი ჩიკასთან ერთად იყვნენ ყოველთვის; როდესაც ჩიკას არ ჰყოფნიდა სიტყვები, ისინი შეელოდნენ.

ერთხელ სკოლას მოუფიდა ახალი მოწაფე ნიკოლოზ კონსტანტინოვი. იგი დიდხანს ცხოვრობდა

ნებმანებთან, რამაც სათანადო დალი დაასო, მაგალითად, როცა სახლში უკვე მზად იყო ახალი სასადილო, წინადელზე უფრო ფართე, ჩიკაც მოვიდა აღტაცებაში მით, რომ ყველაფერი სუფთად და რიგზე იყო. ნიკოს ეს ეხამუშა:

— ვითომდა!—სთქვა მან:—გინახავს შენ ბორის ალექსანდრეს ძის სასადილო!

— ვინაა ეგ ბორისი?—ჰკითხა ჩიკამ.

— ჩვენი ბატონია. მამაჩემი მეგობრედ ჰყავდა. ერთი გაიგე და, რას მოგვიტხოვრობს დედაჩემი მის ხალიჩებზე, სურათებზე, ვერცხლის ქურჭელზე... ჰე! უწინ როგორ ცხოვრობდნენ! კაცები—ცილინდრებით, ქალები—ძვირფას ბეწვებში; კარებთან კი ავტომობილები ედგათ! მამაჩემს ჩაისათვის აჩუქებდნენ ხოლმე: ზოგი შაურს, ზოგი უზალთუნს! მაშინ მილიონები არ იყო.

— მამაშენსაც ხალიჩებიანი ოთახი ჰქონდა?—ჰკითხა ჩიკამ.

— არა. მე მაშინ ჯერ პატარა ვიყავი; ჩვენ ოთახში ხალიჩა არა გვექონია; ის იყო ღრმა სარდაფი, კიბით უნდა ჩასულიყავი იქ; კიბე გადიოდა ეზოში, სადაც ავტომობილები და ცხენები იყო. მერე რა ცხენები იყო-და!

— სულელი ყოფილხარ!—გაეცინა ჩიკას და თანაც თვალი გადაავლო ვანკასა და ფიშელს:—ნამდვილი გოჭი. კაი დრო ყოფილა, შენმა მშემ: ბატონები სასახლეში, შენ კი სოროში, როგორც ძაღლი!

— კი, სასიქადულო დროება,—ზიზღით სთქვა ფიშელმა, —ყოველ წუთს ელოდი იმას, რომ მოვლენ და ჩაგაძაღლებენ შენსავე სოროში!

— შენ გეშინოდა მხოლოდ როგორც ებრაელს,—შენიშნა ნიკომ.

ჩიკა აენტო.

— აი ტუტუცი! რა ებრაელი,—განა ისეთივე ხალხი არ არის, როგორც შენ? მარქსი განა ებრაელი არ არის?

— არა, მაინც ებრაელებს ყოველთვის ეჯავრებათ რუსები,—ცდილობდა თავის გამართლებას ნიკო.

— შენ რომ ცხვარს ატყავებდე, ის შენ შეგიყვარებს? მაშ ჩვენთან როგორღა ცხოვრობენ ებრაელები სიამტკბილად!?

— რა ვუყოთ, ეგ საზღვარგარეთაა, იქ სულ სხვაა.— იქ, რასაკვირველია, უფრო კარგია, ვიდრე აქ,—აჰყვა ნიკოც შეგნებულებს.

ჩიკას და მის მეგობრებს ეცინებოდათ.

— მაინც, რათაა ეგრე?

— ოღლა სერგოს ასული, რომელსაც დედა-ჩემი ურეცხავს იატაკებს, ეხლახან დაბრუნდა საზღვარგარეთიდან. უნდა ნახო, რა ტანსაცმელი არ უყილია იქ! რა მუშკ—ამბარა, რა ფეხსაცმელები!..

— ეგება დედაშენისათვისაც ჩამოიტანა?

— არა!

— ყეყეჩია, ყეყეჩი!—ვერ მოითმინა ჩიკამ:— მაინც რას ამბობს თქვენი ქალბატონი? ვინ იცის, საზღვარგარეთ სულ დაგრილობენ ავტომობილებში და არავენ არ მუშაობს? ყველანიც ცხოვრობენ სასახლეებში? ციდან ჩამოდის რძე, სახლებსაც აშენებენ ბიშტექისისას და არა აგურისას?

— არა, მე ეგ არ ვიცი.

— მე კი ვიცი. საზღვარგარეთ ათასობით მუშაობენ დღე-ღამე, აშენებენ სახლებს, ჰკერავენ ტანისამოსს და ფეხსაცმელებს, მაგრამ ნამუშევარს ართმევენ პატრონები—დამქირავებლები, ჰყიდიან, მოგებას იტოვებენ თავიანთთვის, მუშებს კი აძლევენ გროშებს!

— ეგრე იყო ჩვენშიც მეფის დროს, — კვერი დაუკრა ვანკამ.

— კი, — განაგრძო ჩიკამ: — ისინი, რომელნიც ართმევენ, სულ მდიდრები არიან, ბატონები. ისინი კი, ვინც ყველაფერს აკეთებს, ვერ აღწევენ თავს მუშაობას, შიმშილით იხოცებიან და სოროებში ცხოვრობენ.

— მიტომ, რომ ეშინიათ რევოლუციის მოხდენის! რუსეთში მშრომელებმა მოახდინეს რევოლუცია და ბატონ-პატრონებიც აღარ არიან!

— ალბათ მისი ქმარი ქურდი და ნებმანია, — სთქვა ვანკამ: მოიცა, ნახავ, მოიცლის მისთვისაც სახელმწიფო პოლიტსამართველო!

— ერთი ეს მითხარი, — ჰკითხა ჩიკამ ნიკოს ვინა დგას ეხლა იმ სახლში, სადაც მამაშენი მეზოვედ იყო? მდიდრები არიან?

— არა. ეხლა იქ პირველ სართულში სკოლაა, მეორეში მუშები და მოსამსახურეები ცხოვრობენ.

— აი ახლა ხომ გაიგე, რისთვის იყო საჭირო რევოლუცია? — აღფრთოვანდა ჩიკა: ვინა ცხოვრობს თქვენს სარდაფში?

— ახლა იქ აღარავინ ცხოვრობს. იქ შეშას ინახავენ.

— საზღვარგარეთ კი დღესაც სულ ძველებურადაა! იქ ჩვენნაირ ბავშებს შიმშილით სული ამოსდით, იყინებიან სიცივით. შენ უნდა ყოფილიყავ იქ ჩემ მაგიერ, მაშინ გაიგებდი.

ნიკო გულმოდგინედ უსმენდა.

— ჩემ სამშობლოში, — განაგრძო ჩიკამ, — იცი რა მოხდა, როდესაც მუშებმა მოინდომეს აჯანყება? მდიდრებმა დაუწყეს მათ კეტების ცემა, ციხეებში ჰყრიდნენ, ჰკლავდნენ. ერთთავად ამ დღეში არიან.


ნიკო ჩუმად იყო, ყურს უგდებდა.

— რას იტყვი: გინდა საზღვარგარეთ, თუ აქ დარჩები? — ჰკითხა ნიკოს ჩიკამ.

— არა. აქ მირჩევნია, — გაეღიმა ბიჭუნას.

ჩიკამ მოჰკიდა ფიშელსა და ვანკას ხელი და სამივემ მოუსვეს კიდეც ბალისკენ, თან „წითელ დროშას“ მღეროდნენ, რომელიც ჩიკამ ასწავლა თავის პატარა ამხანაგებს. ნიკოც გაჰყვა მათ ფეხდაფეხ.

კ. ფ.





მონადირეები

(ტუნგუსების და ჩუკების ცხოვრებიდან)

სამი კაცი, თბილ ტყაპუჭებში გამოხვეული, ძლივს მიძვრება გაუვალ, დაბურულ ტყეში. წიწვიანი ხეების ტოტები მიძიმედ დახრილა დაბლა. ძნელია ასეთ ტყეში გავლა, მეტადრე იქ, სადაც ვერხვი ხარობს. მაგრამ სამაგიეროდ კარგია ისიც, რომ მათი საშვალეებით შეიძლება გზის გამოცნობა, გეზის აღება: აღმოსავლეთიდან ამ ხეებს სუფთა აქვს ტანი, დასავლეთიდან — ხავსით დაფარული. მიიწვევს წინ ეს სამი კაცი, მიდიან და სდუმან, არცერთი არ არღვევს სიჩუმეს. სდუმს ტაიგაც, თოვლის ზვავებით დაფარული.

ამ ადამიანების სახეები ყვითელ — მოშაოა, ვიწრო შავი თვალები აქვთ. ორი მათგანი მოზრდილია, — საშუალო ტანის, ფართო მხარ-ბეჭიანი, მესამე — ახალგაზრდა, ათიოდე წლის ბიჭი.

სამივენი მონადირე ტუნგუსები არიან, ირმის ტყავებით და მელის ქუდებით შემოსილნი. მხოლოდ ბიჭის ქუდია თრითინასი; მას პირდაპირ შიშველ ტანზე აცვია ირმის ტყავის ტანსაცმელი. როცა მზე გამოაჩყეტს და თვალის მომჭრელად ალაპლაპებს თოვლს, ისინი იკეთებენ თვალეზზე ცხენის ძუისგან ოსტატურად დაწნულ სათვალეებს.

ასე რამოდენიმე დღეა დაძრწიან ისინი ამ ტაიგაში. ქამრებზე თითოეულ მათგანს თრითინების ტყავები ჰკილია. ყველაზე უფროსს კი წითელი მელია. ამ ყრუ ტაიგაში დაუგეს მახეები და ხაფანგები ბეწვიან ნადირებს.

ერთ კვირის შემდეგ ისევ უნდა დაბრუნდენ, დაათვალიერონ მახეები, მაგრამ ურონჩინო ამით არ კმაყოფილდება. გადაწყვიტა მიმართოს ერთ საშვალეებს. შეჩერდენ ერთ ადგილას, ბალაიმ სასწრაფოდ ჩამობელა ნაძვის დიდრონი ტოტები, დაყარა მიწაზე, იქ, სადაც ალანმური უკვე ცეცხლს ანთებდა. ცეცხლი გაჩაღდა. შეკიდეს ზედ თოვლით საფე

პატარა ქვაბი. ურონჩინმა ამ ხნის განმავლობაში ჩანთიდან ამოიღო რაღაც ნადირის ხორცი, დასჭრა იგი ნაჭრებად, მოაყარა ზედ საწამლავი ფხვნილი და როცა ყველაფერი მზად იყო, ურონჩინი და ალანმური გაემართენ ტაიგის სიღრმისაკენ, რომ იქ დაეფანტათ ხორცის ეს მოწამლული ნაჭრები.

ბალაი კი ამ დროს უკეთებდა ცეცხლს შეშას, რომ აედუღებია წყალი. ძაღლები ურონჩინს რატომღაც იქვე ხეზე მიება და ისინი წყნარად იწვენ ცეცხლის მახლობლად. ჩაი უკვე მზად იყო, როცა ისინი დაბრუნდენ, დასხდენ და ჩაის სმა დაიწყეს. დარჩენილი ხორცი დააძღეს ძაღლებიც და შეუდგენ მზადებას წინ წასასვლელად.

II

სასიხარულოა ტაიგაში ადამიანის ნაკვალევის ნახვა, თუმცა იშვიათად ხდება ეს. რამოდენიმე ათასი ვერსითაა ირგვლივ გადაჭიმული უზარმაზარი ტყეები. ზაფხულში ამ ტყეებში მიჩანჩქერობს მრავალი მდინარე, ზამთარში კი სძინავთ მათ თოვლისა და ყინვების ქვეშ.

ამ მდინარეების ახლო ხშირად შეგხვდებით ტუნგუსების საცხოვრებელი ბინები — ურუსუ. ტუნგუსების რიცხვი არ აღემატება ოთხმოცდაათ ათასს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ისინი გაბნეულან საცხოვრებლად ამ უზარმაზარ მანძილზე, დაწყებული მდინარე ენისეიდან წყნარ ოკეანამდე, ოთხიათასი კილომეტრის სიგრძეზე. უდაბურია ეს ადგილები, ამიტომ ადამიანთან შეხვედრა ტაიგაში, ან მისი ნაკვალევის ნახვა და იმის გაგება, რომ აქ მონადირეებს გაუვლიათ — სასიხარულოა. ჩვენს მონადირეებსაც დიდი ხანია არაგინ შეხვედრიათ, მას შემდეგ, რაც დატოვეს სახლი და აქეთ წამოვიდნენ. მოწყინდა ბალაის. ურონჩინმა კი მოწყენის გასაქარვებლად ზღაპარი დაიწყო. ბალაის უყვარდა ზღაპრები და

სიამოვნებით უსმენდა. ისხდნენ ისინი ცეცხლის გარშემო, სადაც დაბინავდნენ ღამის გასათევად. ადულეს ჩაი, ჭამეს დათვის შემწვარი ხორცი—მარაგი რომ ჰქონდათ. ურონჩინმა დაათვალიერა ძაღლები და დაიწყო ზღაპარი. ცოტა ხნის შემდეგ ბაღის ტკბილად მიეძინა მოხუცის ზღაპარში.

III

დილაზე ისევ გასრიალდნენ ისინი თხილამურებით ტაივისაკენ, ხშირი ვერხვის ტყეებით. თოვლი ლაპლაპობდა. ჩამოიცვეს მონადირეებმა თვალეზზე ძუის სათვალეები და საცლაც შენიშნეს თოვლში დასობილი ჭოკი. ჭოკი ოდნავ იყო დახრილი. სიხარულით მიუახლოვდნენ და ნახეს, ჭოკის წვერზე ეკიდა ხის კანი, რომელზედაც სობოლი ეხატა. მიხვდა ურონჩინი, თუ რას ნიშნავდა ეს და სთქვა:

— სადღაც ახლო ბებერი ნოდო სობოლზე ნადირობს. მოუხვიეს იმ მიმართულებით, საითკენაც ჭოკი იყო წახრილი. მალე შენიშნეს მეორე ნიშანი ხეზე, ეს იმას ნიშნავდა, რომ მარცხნით უნდა წასულიყვნენ. იმავე დღის საღამო ხანს კი მათ შენიშნეს ცეცხლი. აყვდნენ ძაღლები, მალე ურონჩინი, ალანმურა და ბაღაი შეხვდნენ ბებერ ნოდოს.

ნოდო ყოველთვის მხიარული და ცოცხალი მოხუცი იყო, მაგრამ დღეს არაჩვეულებრივად მხიარული და კეთილი. მას მიეგნო ნადირისათვის და გამოდევნებოდა. სობოლი ძვირფასი ნადირია, მისი ტყევი ძვირად ფასობს, დასხდნენ მონადირეები ცეცხლის გარშემო და მოხუცმა ნოდომ დაიწყო ამბავი, თუ როგორ აიღო ღღო მისმა ჰყვიანმა ძაღლმა, გააკეთა ნახტომი, როცა თვალი მოავლო მას. როგორ იგრძნო აღსასრულის დღე სობოლმა, შევარდა ხეზე, დაპირა თავის გადაჩენა ხეებიდან ხეზე გადასვლით, მაგრამ ძაღლმა არ მისცა საშველი, ნოდომაც სდია ფეხდაფეხ. თუმცა მოხუცია, მაგრამ თვალი არ დალატობს ჯერ. ასე ოთხი დღე სდია ბებერმა ნოდომ ამ ნადირს ტაიგაში, გზადაგზა ჭოკები დაასო, რომ სხვა მონადირეებსაც მიეგნოთ მისთვის და აი სწორედ ამის მეოხებით შეხვდნენ ის ნერთმანეთს.

— აბა, გვიჩვენე შენი ნანადირევი, — უთხრა ურონჩინმა. ნოდომ ამოიღო ბეწვიანი ტყავი.

— ყოჩაღ, მოხუცო, ისე მოგიკლავს, არ დაგიშავებია ტყავი!

— ყოველთვის ბლაგვი ისრით ვკლავ ასეთ ცხოველებს, — უპასუხა ნოდომ ამბავად.

— გაკეთებულხარ, კაცო, გაკეთებულხარ! დიდ ფასს მოგცემენ ამაში. — მხიარულად უთხრა ურონჩინმა.

— იაფად არ გაჰყიდო, — უთხრა თავის მხრივ ალანმურმა.

— არ მოგატყუონ, ისინი მამაძაღლი ხალხია! ნოდომ გულკეთილად გაიცინა და უთხრა ალანმურს:

— რატომ არ უნდა დაგიჯეროთ? გამდიდრდები კაცი! ჩაი მექნება, თუთუნიც, თოვის წამალიც, პურიც, ბაღის პატარა ვერძსაც ვუყიდი.

მონადირეებს გულწრფელად უხაროდათ ნოდოს ასეთი შემთხვევა.

დილისათვის გადაწყვიტეს ყველანი ერთად დაბრუნებულიყვნენ შინ, დაესვენებიათ მშობლიურ ურუსებში, რომ შემდეგ ისევ დაბრუნებულიყვნენ ტაიგაში — ხაფანგებიდან ნანადირევის ამოსაღებად.

IV


ტაიგის ერთ-ერთი მდინარის პირად სამი შენობა იდგა, სამივეგან ამოდიოდა კვამლი. მახლობლად რამოდენიმე ათეული ირემი ძოვდა. უწინ ტუნგუსებს ბლომად ჰყავდათ ირემები, მაგრამ ბებერი გადაუცვალეს საქონელში ვაჭრებს.

ტუნგუსების საცხოვრებელი ბინები კარავებია. დასობილია რამოდენიმე ჭოკი და მათი თავები შეერთებულია ზევით, ჭოკები ირგვლივ შემოხურულია ირმის ტყავებით, ზევით კი, სადაც შეკრულია ჭოკის თავები, დატოვებულია ადგილი კვამლისთვის. ყველაზე ღარიბი ურუსა ნოდოს ეკუთნოდა. ნოდოს აგრეთვე დიდი ხანია არ ჰყავს ირემიც. ამიტომ მისი ბინის ზევითა ნაწილი შემოხურულია ხის რტოებით და მხოლოდ ქვედა ნაწილი ირმის ტყავებით. სიცივეა ნოდოს ურუსაში. ცივი ქარი თავისუფლად დასეირნობს მის ბინაში. მაგრამ მოხუცი გახარებულია თავისი ნანადირევით, კმაყოფილია მინც. იგი დაბრუნდა ტაიგიდან ძვირფასი ვანძით. ვის იცის, რას არ მიიღებს ნოდო საფასურში. მთელი ულასი*) ხარობდა ნოდოსთან ერთად. ურონჩინმა სიხარულისაგან ბებერი ირემიც დაჰკლა. ხარბად შეესიენ ყველანი ხორცს, ჭამდნენ მოუხარშავად, ტეხავდნენ ძვლებს და წუწნიდნენ ტვინს.

დამაძლარი ხალხი თანდათან მხიარულობდა; მასხრობდნენ, იცინოდნენ, ჰყვებოდნენ საგმირო ამბებს, ყველაზე უფრო მხიარულობდა თვითონ ნოდო.

დროგამოშვებით სიმღერასაც იწყებდნენ. ყველაზე უკეთ მღეროდა ალანმური, რომელმაც მრავალი ძველებური სიმღერა იცოდა.

*) ულასი — მოსახლეობა, სოფელი.



V

გათავდა ზამთარი. დადგა ისეთი დრო, როცა ყოველი გარეული ცხოველი მრავლდება, მაგრამ ასეთ დროს ტუნგუსები ნადირობას ანებებენ თავს. არცერთსი ტუნგუსი არ დაარღვევს ტაიგის ამ წესს.

ტუნგუსი ასეთ დროს რჩება ურასში და უცდის ნადირობის ახალ შემოდგომის დროს. ზაფხული—ყველაზე თავისუფალი ხანაა. ამ დროს მიდიან

დი მძივები, რომლითაც განსაკუთრებულად ირთავენ ქუდებს და ტანსაცმელებს ქალები.

საბჭოთა ხელისუფლების დამკვიდრების შემდეგ ტუნგუსებს განსაკუთრებული ყურადღება მიექცა. იქ, სადაც ძველად ვაჭრობდნენ კერძო პირები და უწყალოდ ცარცვადნენ ამ ხალხს, ახლა ვაჭრობენ საბჭოთა ღუქნები, სადაც მათ იაფად ეძლევათ ყოველგვარი საჭირო საგანი. გაცხოველებული მუშაო-



მთელთა საბავშვო სახლის პიონერების საქმიანობა.

ისინი ზამთრის განმავლობაში მოგროვილი ტყავებით რუს ვაჭრებთან ფაქტორიაში, რომ გადაცვლიონ ესენი პურში, თუთუნში, ტყვია-წამალში. ფაქტორია წარმოადგენს სავაჭრო ადგილს ტაიგაში, სადაც შეიძლება გაცვლა-გამოცვლის წარმოება. აქ საზამთროდ იმარაგებენ ტუნგუსებისათვის საჭირო ყოველგვარ საქონელს. პირველ ყოვლისა მონადირეებისათვის საჭიროა ტყვია-წამალი, საფანტები, დანები, ნაჯახები და სხვა. თავის საკვებად მათ ესაჭიროებათ პური. ტუნგუსს ესაჭიროება აგრეთვე თუთუნნი, ჩაი, მარილი, ცოტა რამ მატერიალ. განსაკუთრებით უყვართ ახალგაზრდა ტუნგუსებს ფერად ხალათებში გამოწყობა, უყვართ აგრეთვე სამკაულებიც—ფოლაქები და სხვა, ყოველგვარი ფერა-

ბა სწარმოებს მათში განათლების შესატანად, შენდება სკოლები, სადაც იზრდებიან მომავალი შეგნებული მოქალაქენი, საავადმყოფოები, რომელნიც დიდ დახმარებას უწევენ მათ და სხვა.

ხარობენ ტუნგუსები ახალი ცხოვრებით, ახლა არაა ცხოვრება საშიშარი. ვაჭირების დროს იციან ვის მიმართონ.

ვეზაკზე ნადირობა.

კანგა—ახალგაზრდა ჩუქჩა, თხუთმეტი წლისაა. მან ესაა სჭამა ირმის უმი ხორცი, შესვა ჩიი და ეხლა შიშველ სხეულზე იცვამს ხალათს, რომელსაც შიგნიდან მატყლი აქვს, ფეხებზე ჩექმებს, ირმის ტყავიდან შეკერილს, თავზე იხურავს რგვალ ბეწვის ქუდს ყურსაფარებით.

კანგა გადის გარეთ, იქ, სადაც წვანან სამგზავრო ძალები, ეალერსება მათ—ამ თავის ბამბურა მეგობრებს. მაგრამ საქმე ისაა, რომ მას არ ესაჭიროება ისინი დღეს. ის მონაწილეობას მიიღებს დღეს ვეშაპზე ნადირობაში.

ყოველ გაზაფხულზე და შემოდგომაზე ჩუქჩების ნაპირებთან, პირდაპირ ცხვირის წინ მიტურავენ ვეშაპები. ზაფხულს ისინი ატარებენ ჩრდილოეთ ყინულოვან ოკეანეში, მაგრამ ზამთრისათვის ბრუნდებიან უფრო თბილ ბერინგოვის ზღვისკენ.

აი სწორედ აქ უღარაჯებენ ჩუქჩები მათ.

ვეშაპი კი თავისი მოახლოების ნიშანს წინასწარ თვითონ იძლევა: ზღვის ზედაპირზე უცებ გაჩნდება წყლის შადრევანი.

ეს ვეშაპია, რომელიც ისვრის წყალს ზევით, პირში რომ უგროვდება, როცა ღია ხახით ნადირობს თევზებს, რაც წარმოადგენს მის საჭმელს, წყალს კი აბრუნებს უკან განსაკუთრებული მილით. ჯერ კიდევ გუშინ შენიშნეს ჩუქჩებმა, რომლებიც ნაპირად ცხოვრობენ, სამხრეთიდან მომავალი ვეშაპები. დღესთვის კი დანიშნულია ნადირობა. ქარი ზღვიდან ბერავს მშვიდად. ყველა მოზრდილი კაცი და ბავში მოგროვდა ნაპირთან. მონადირეები ჩახსდნენ ნავებში, წაიღეს ყოველგვარი საჭირო იარაღი. სამ პატარა ნავეზე დადგმულია ვეშაპის სასროლი პატარა ზარბაზანი. ამის გარდა ყველა მამაკაცს ხელში თოფი აქვს. ნავებში ეწყობა ბასრი ხიშტები — გარბუნები. გარბუნებზე მობმულია გრძელი და მაგარი ქამრები. ერთ თავში მათზე მობმულია ჰაერით სავსე ბუშტები.

დღე თბილი იყო. გუშინდელი ქარიშხლის ნიშანიც არ იყო. ვეშაპები გახშირდნენ. წყლის ზედაპირზე ხან შადრევანი ჩანდა, ხან უზარმაზარი შავი გვერდები. ნავები დაიძრნენ ზღვისკენ.

მალე მოისმა ზარბაზნის ხმა. ვეშაპი დასჭრეს. მან დაყვინთა ზღვის სიღრმისკენ, მაგრამ მალე ისევ გამოჩნდა. ისევ გაისმა ახალი სროლა. ვეშაპის სხეულს დაეცა გარბუნი.

ვეშაპი ისევ ჩაიძირა წყალში, მაგრამ ბუშტებით ატყობდნენ, რომელი მიმართულებით წავიდა. შემოესიენ ნავებით ირგვლივ, რაც მეტად დიდ საშიშროებას წარმოადგენდა: საკმარისი იყო მას კუდი მოექნია, რომ დაეღუბა ყველა ნავი. მაგრამ მონადირეები არ ფიქრობდნენ ამაზე. ვეშაპი დაუძლიურდა. წყალი სისხლით შეიღება და უზარმაზარი ცხოველი—სიგრძით ოც მეტრამდე, ამოტივტივდა წყლის ზედაპირზე. ნავები მჭიდროდ შემოერტყენ გარშემო მკვლარ ვეშაპს.

დანებით შეიარაღებული ჩუქჩები ნავებიდან პირდაპირ გადასახლდნენ ამ უზარმაზარ სხეულზე. ამოსჭრეს სასწრაფოდ ხორცის დიდრონი ნაჭრები და ხარბად შეუდგნენ ჭამას. ეს უცნაური ქეიფი ორ საათამდე გაგრძელდა, ტუჩები ყველას მოესვარა ქონით და ტანსაცმელი სისხლით.

ასეთი ნადავლით გახარებულებმა ვერ შენიშნეს, როგორ შეიცვალა უცებ ქარი და ვეშაპი ზღვისკენ წაიღო. უკვე გვიან იყო, საშინელმა მწუხარებამ შეიპყრო მონადირეები ასეთი დანაკარგის გამო.

წარმოიდგინეთ, ეს ვეშაპი მისცემდა ჩუქჩებს ნახევარ ათას ფუთ ხორცს და დიდხანს უზრუნველყოფდა სიმშობისგან. ვეშაპის ქონს ხომ სათბობ და სინათლის მასალად გამოიყენებდნენ. ძვლებს იარანგის საშენად მოიხმარდნენ. რქა, რომლითაც დაფარულია ვეშაპის ხახა, მისცემდა ჩუქჩებს ათას მანეთზე მეტს. აი რა მდიდარი ქონება დაკარგეს ამ მონადირეებმა! მაგრამ რამოდენიმე დღის შემდეგ ისინი ისევ შეიკრიბნენ სანადიროდ, იმავე სახით დაესხნენ ვეშაპს და დასჭრეს იგი. მაგრამ, როგორც კი მოჰკლეს, დაავიწყდათ წინანდელი შემთხვევა და მის სხეულზე ისევ გამართეს ჯირითი და ხორცის ჭამა. მაგრამ ახლა ქარი წინააღმდეგ ბერავდა და ამიტომ ვეშაპის ნაპირთან მოთრევა აღვილი გახდა. მათ სინარულს საზღვარი არ ჰქონდა. ქალი, ბავში, მოხუცი—ყველანი მოკვივდნენ ნაპირზე. მონადირეები დიდრონი დანებით სჭრიდნენ მას ხორცს და ნაჭრებს უყრიდნენ ნაპირზე მდგომთ. მთელი ნაპირი საკმაო მანძილზე აზვინული იყო ვეშაპის ხორცი. ხორცი, ქონით, ტყავით ტვირთავდნენ მარხილებს და გადაჰქონდათ ბინებისაკენ. მთელი დღე შეუძლებდნენ ასე და ძლივს გაენახვერებიათ ეს აუარებელი ხორცი.

ჩუქჩების ცხოვრებაში ვეშაპის მოკვლა—ეს დიდი სადღესასწაულო დღეა ვეშაპის მოკვლა ნიშნავს, რომ გექნება საჭმელი, სინათლე, სითბო—რქის გაყიდვით—ფული.

ნადირობა თეთრ დათვზე.

ტევილიანტს — ახალგაზრდა ჩუქჩა — ესაა გაეღვიძა. ეძინა თავის თბილ იარანგში, სადაც ენთო ქონის ცეცხლი. ოთახში ისეთი სითბო იყო, რომ ის თითქმის შიშველი იწვა. როცა აღვა, ჩაიცვა ტანზე თბილი. ბუმბლიანი ხალათი, ფეხებზე ჩექმები და თავზე ქუდი დაიხურა. დღეს მას გადაწყვეტილი აქვს წავიდეს თეთრ დათვზე სანადიროდ, რაც სახუმრო საქმე არაა. ნადირობა ამ ყინულოვან

ნი სივრცის და ყინულოვანი ზღვის ბინადარზე და-
კავშირებულია დიდ ხეფათებთან და საჭიროებს დიდ
სითამამეს და სირბილის ატანას.

მხოლოდ იშვიათი მონადირე ვაბედავს მასზე
ნადირობას. მართალია, თეთრი დათვის ტყავი ძვირ-
ფასია, შეიძლება მასში მიიღო ძვირფასი საჩუქრები
და ნივთები. მაგრამ მასზე სანადიროდ წასვლა და მიზ-
ნის მიხვევა ძნელია.

მხოლოდ ორი თუ სამი კაცი თუ მოიძებნება
ჩუქჩების სოფლებში, რომლებსაც თეთრ დათვზე
ენადიროსთ.

იყო დრო, როცა თამამი ჩუქჩი მონადირეები
ნადირობდნენ თეთრ დათვზე არა დღევანდელი თო-
ფებით, არამედ ხელით სასროლი ისრებით.

მაგრამ რანაირი ხასიათი და თვისებებია საჭირო
თეთრ დათვზე მონადირე ჩუქჩისათვის?

პირველ ყოვლისა, საჭიროა ხსოვნა, რომ ზამ-
თრის პერიოდში დღე გრძელდება 4—5 საათს,
დათვზე ნადირობისას კი ხშირად საჭიროა რამოდენ-
იმე ვერსის გავლა ყინულზე და დაღამებამდე ისევ
დაბრუნება, ამისათვის კი საჭიროა ჩქარი სირბილი,
დიდი ენერჯია და სითამამე. არის შემთხვევა, რო-
ცა ყინულის ველები, რომელზედაც დაძრწის მონა-
დირე, მოძრაობაში იმყოფება. ისინი ხან ერთდებიან
ნაპირების ქარის მოწოლის ძალით, ხან ოკეანესკენ
დაიძრებიან; ასეთ შემთხვევაში მონადირე კარგად
უნდა ერკვეოდეს ქარების მოძრაობაში და დიდი
სიფრთხილით ეპყრობოდეს მის ცვალებადობას; რო-
გორც კი შეატყობს, რომ ქარი ნაპირიდან ბერავს,
უნდა მიატოვოს ნადირობა და შინ დაბრუნდეს.
მაგრამ თუ ქარი საიმედოდ ბერავს, მონადირე უნდა
იყოს სწრაფი და კარგი მსროლელი, თანაც მოკლუ-
ლი დათვი სწრაფად უნდა გადაიტანოს სამშვიდო-
ბო ადგილზე, თორემ მონადირე დაიღუპება.

ტევლიანტოს არ აშინებს ეს სიძნელეები: იცის
კარგი სირბილი, ხტომაც, ქარის მოძრაობაში არა-
თუ ერკვევა, წინასწარ შეუძლია მიხვდეს, მთელ სო-
ფელში აგრეთვე არავინაა მასზე უკეთესი მსრო-
ლელი.

აი გაუკეთებია ფეხებზე მჩატე თხილამურები და
მისრიალობს სწრაფად ყინულზე, ხელებში ორი
გრძელი ჯოხი უჭირავს, ერთით სინჯავს ყინულის
სიმაგრეს, მეორით თავს იმაგრებს. მხრებზე გადაუკი-
დება ახალი თოფი, ჩანთა ვაზნებით და ქამარი —
ყოველი შემთხვევისათვის. ზღვაში ნაპირიდან დაწყე-
ბული ყინულის ველების იქით შორს მოჩანს თეთ-
რად მოცურავე ყინულები; აი სწორედ იქით მიდის
ტევლიანტო, მან იცის, რომ დათვთან შეხვედრა
ყველაზე ადვილად იქაა შესაძლებელი, სადაც თავის
მხრივ ეს უზარმაზარი ნადირი უღარაჯებს სელაპებს.

ერთიანი ყინულის ველებზე მოძრაობა ადვი-
ლია, მაგრამ ტევლიანტო მიძვრება იქით, სადაც
ყინული მოძრაობაშია უფრო, ყოველ წუთში შე-
საძლებელია ყინული გასკდეს და მონადირე ზღვამ
ჩაყლაპოს. მაგრამ ტევლიანტო ცოტას ფიქრობს ამა-
ზე. გრძელი ჯოხით სწრაფად შინჯავს ნიადაგს და
წინ მიიწევეს თამამად, არ აღელვებს არაფრის საშიშ-
როება და სიძნელე.

აგერ ოცი კილომეტრით დაცილდა საკუთარ
სოფელს და მხოლოდ ეხლა მიაგნო დათვის ნაკვა-
ლევს და აწი არ მოცილდება მას არაფრისათვის.
ყინულიდან ყინულზე გადადის ნადირი და მას ყი-
ნულიდან ყინულზე მისდევს უკან ტევლიანტო. და
დათვი უღარაჯებს სელაპებს, რომ შერჩეულ მო-
მენტში თავს დაესხას. ტევლიანტო იჩქარის, რომ
მას თავის მხრივ მოხერხებულად დაესხას თავს. მიუ-
ახლოვდა ფრთხილად ორმოცდაათი საყენის მანძილ-
ზე და მიზანში იღებს, იცის, რომ აუცილებლად
უნდა მოახვედროს: თუ არ მოხვდა, დათვი გაიქცე-
ვა, მაგრამ თუ მხოლოდ დასკრა, მაშინ მასთან სა-
ბედისწერო ბრძოლა მოუხდება. უახლოვდება კიდევ
უფრო ახლოს და საბოლოოდ იღებს მიზანში.

— ტრაბ-ტაბ-ტაბ-ტაბ...

თოფი მძიმედ გავარდა და სროლის ხმა შორს,
შორს გაგორდა ყინულოვან სივრცეზე. ტევლიანტო
კარგი მსროლელია, არ შეიძლებოდა ტყვია დაეცი-
ლებია, პოლიარული ნადირი მკდარი ეცემა. ტევ-
ლიანტო არ ჩქარობს გამოამყვანოს თავისი სიხა-
რული — ის ჩქარობს მალე დაასრულოს მთელი საქ-
მე, გააძროს დასუსტებული ტყავი და დაბრუნდეს შინ.
ხორცს კი დატოვებს: თუ არ წაიღებს ხვალამდე
ზღვა, ისევ დაბრუნდება თავისი სახლიკაცებით და
წაიღებს.

მთელი სოფელი ულოცავს გამარჯვებას ტევ-
ლიანტოს. იციან, რომ ხვალ ისინი მაძღრები იქნე-
ბიან: მოკლული დათვის ხორცი ყველას შეხვდება.

სალამოს ყველანი დღესასწაულობდნენ ტევლიან-
ტოსას, მეორე დღით კი ტევლიანტოს ცოლმა
ნაულიკმა გამოიტანა დათვის ტყავი და ბეჯითად
დაუწყო დასუფთავება. იცის ნაულიკმა, კარგად გა-
კეთებული ტყავი რა ძვირია, ამიტომ არ ზოგავს
ძალას და ღონეს, ოღონდ კარგად დასწმინდოს იგი,
რომ შემდეგ კარგი ფასი აიღოს მასში მისმა ქმარმა
და მით შეიძინოს მარაგი პურის ფქვილის, ჩაის,
თუთუნის, ტყვია-წამლის და მატერიის და შემოსოს
და უზრუნველყოს თავისი ბავშვები.

ჩუქჩებს უყვართ ბავშვები, ნაულიკოს უკვე სა-
მი ბავში ჰყავს და ტევლიანტო იმედოვნებს, რომ
ისინიც დაიბრუნებიან და მამისავით სახელოვანი მო-
ნადირეები იქნებიან.

ს. ოლენაშვილი.

ტფილისის უნივერსიტეტის ათი წლის თავი.

მიმდინარე წლის თებერვლის ბოლო რიცხვებში სამი დიდი დღესასწაული ჩავატარეთ: მუშურ-გლეხური წითელი არმიის ათი წლის თავი, საქართველოს განსაზღვრების შვიდი წლის და ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ათი წლის თავი.

ქართული უნივერსიტეტის ათი წლის თავის დღესასწაული უდიდესი მნიშვნელობის მოვლენას ჩვენი ქვეყნის კულტურულ-ისტორიული განვითარების გზაზე. მუშათა და გლეხთა განთავისუფლება სრული იქნება მაშინ, როდესაც ჩვენი პოლიტიკური და ეკონომიკური სიძლიერე კულტურული სიძლიერითაც დაგვიკვირდება. ქართული უნივერსიტეტი დაიბადა დიდი რევოლუციის ქარტეხილში, მაგრამ მენშევიკების ბატონობის დროს საქართველოში მან თავისი დანიშნულება დაკარგა. მენშევიკები სრულიად არ სრუნავდენ უნივერსიტეტზე, უნივერსიტეტი უპატრონოდ იყო. საბჭოთა წყობილების დროს კი უნივერსიტეტმა მიიღო თავისი სახე და მთავრობისაგანაც დიდ დანახარებას იღებს. დღეს უნივერსიტეტი კულტურის ღამწარია, ჩვენი კულტურული წინსვლულობის უმთავრესი იარაღია.

სოციალისტური აღმშენებლობისათვის, მუშურ-გლეხური ქვეყნის შენებისათვის საჭიროა მშენებელთა კადრების მომზადება. ამ ამოცანის ნიადაგზე დაუკავშირდა სახელმწიფო უნივერსიტეტი ჩვენს დიდს მშენებლობას და მის რთულ სისტემაში სავსებით ადგილი და-


იჭირა: ათასი უნილავი ძაფით გადაქსოვა ჩვენი უნივერსიტეტი საბჭოთა შემოქმედების სინამდვილეს.

ჩვენს უნივერსიტეტს დიდი ამოცანები უდევს წინ: მან უნდა მოამზადოს ახალი სპეციალისტები, ახალი მეურნეები, აგრონომები, ინჟინრები, ექიმები და სხვა, რომ ჩვენს სოციალისტურ აღმშენებლობას ნამდვილი მუშაკები მისცეს. ჩვენი უნივერსიტეტი, პროფესორები და სამეცნიერო მუშაკები უნდა განდენ საჭირო და განუძირებელი აქტიური მონაწილენი სოციალისტური აღმშენებლობის თითოეულ დარგში. ჩვენმა უნივერსიტეტმა უნდა მოგვცეს ახალი საბჭოთა სტუდენტი, რომელიც უოველმხრივ შეიარაღებული იქნება მრავალმხრივი სოციალისტური აღმშენებლობისათვის საჭირო ცოდნით და გამოცდილებით. ამის გარეშე უნივერსიტეტი არ იქნება უნივერსიტეტი. ჩვენ გვჯერა, რომ უნივერსიტეტი მომავალში უფრო გააცხოველებს მუშაობას სოც. აღმშენებლობის საკეთილდღეოდ.

ტფილისის უნივერსიტეტი დაარსდა 1918 წელს.

ამჟამად უნივერსიტეტში ირიცხება 7245 მსმენელი, რომელთა დიდი უმრავლესობა მშრომელი გლეხობისა და მუშური ფენებიდანაა გამოსული. ჰარტიული მიმართულებით—1657 კომუნისტი (346 ჰარტიული და 1311 კომკავშირელი.)

ჩვენი მხურვალე საღამო უნივერსიტეტს.



როგორ მუშაობენ პიონერები საბავშვო ბაღში.

პიონერთა კოლექტივის ერთ-ერთ ამოცანას საბავშვო ბაღებში მუშაობა შეადგენს. საბავშვო ბაღი ისეთი დაწესებულებაა, სადაც თავმოყრილი არიან ბავშვები 3—7 წლამდე, ასე რომ ეს ბავშვები არ შეიძლება იყონ ოქტომბრელები ან პიონერები, რადგან ჯერ კიდევ სულ პატარები არიან. მიუხედავად ამისა, საბავშვო ბაღში მუშაობას დიდი მნიშვნელობა აქვს. პიონერთა კოლექტივი უნდა ცდილობდეს საბავშვო ბაღის ბავშვები მოამზადოს, რომ ისინი მომავალში ოქტომბრელები გახდნენ, შემდეგ კი პიონერები. ამასთანავე უნდა გვახსოვდეს, რომ საბავშვო ბაღებში მუშაობას ძალიან ფრთხილად უნდა მივუდგეთ, რადგან აქ საქმე გვაქვს სულ პატარა ბავშვებთან, რომელნიც ძალიან განსხვავდებიან როგორც პიონერებისგან, ისე ოქტომბრელებისაგან (ცხადია, საბავშვო ბაღში კოლექტივს ვერ დავაარსებთ, რადგან აქ არ არიან პიონერების ასაკის ბავშვები.

რომ მუშაობა გავაჩაღოთ და სწორედ ჩამოვაცალიბოთ, ამისთვის საბავშვო ბაღს უნდა მივამაგროთ ძლიერი კოლექტივი.

შეიძლება ერთ ქალაქში რამოდენიმე საბავშვო ბაღია, ხოლო პიონერ-კოლექტივი კი ერთია; ამ შემთხვევაში საბავშვო ბაღებს რგოლები უნდა მივამაგროთ.

რა შეადგენს პიონერ-კოლექტივის ამოცანას საბავშვო ბაღებში მუშაობის დროს?

ღპირველეს ყოვლისა, კოლექტივმა მიზნად უნდა დაისახოს შრომითი დახმარება, ის დახმარებას უნდა უწყვედეს საბავშვო ბაღში მომუშავე აღმზრდელ-მასწავლებლებს, ეს კი უმთავრესად შემდეგში უნდა გამოიხატებოდეს:

- ა. დახმარება, რომ სისუფთავე იყოს საბავშვო ბაღის შენობაში (იატაკის, ქერის, ფანჯრების დაწმენდა).
- ბ. თუ გაშენებული არის ბაღი, იქ უნდა მუშაობდნენ პიონერები, რომელნიც უნდა სწავლდნენ ბილიკებს, რგავდნენ ხეებს, რწყავდნენ ყვავილებს და სხვა.
- გ. დახმარების ერთ-ერთი სახეა აგრეთვე ინვენტარის შოვნა, ე. ი. შოვნა პატარა მაგიდების, სკამების და ყველა იმ საგნის, რომელიც საჭიროა საბავშვო ბაღში. ამან შეიძლება გააკვიროს რომელიმე პიონერი და მან სთქვას: საიდან უნდა ვიშოვოთ ასეთი საგნებიო. აქ გასაკვირი არაფერია. აი, მაგალითად, ზოგ კოლექტივს აქვს საღურჯლო

სახელოსნოები; ამ კოლექტივის პიონერებს ძალიან კარგად შეუძლიათ პაწია მაგიდების დამზადება. ასევე ითქმის სხვა საგნებზედაც.

მაგრამ პიონერები არა მარტო ახალი საგნების შოვნას უნდა ცდილობდნენ, თუ ძველი არის და დამტვრეულია, ისიც უნდა შეაკეთონ.

დ. პიონერებს შეუძლიათ აგრეთვე დაამზადონ ბავშვებისთვის სათამაშოები.

გარდა შრომითი ხასიათის დახმარებისა, პიონერ-კოლექტივი ბავშვებში აღმზრდელით მუშაობასაც აწარმოებს. ჩვენ ზევით აღვნიშნეთ, რომ ამ ასაკის ბავშვებში მუშაობას ძალიან ფრთხილად უნდა მივუდგეთ. ეს პიონერმა არც ერთი წუთით უნდა დაივიწყოს, წინააღმდეგ შემთხვევაში ვერაფერს ვერ გააგებინებს ბავშვებს და შეიძლება ზიანიც მიაცენოს მათ. აქაც პიონერ-კოლექტივი უნდა გამოვიდეს დამხმარედ: მან დახმარება უნდა გაუწიოს საბავშვო ბაღებში აღმზრდელითი მუშაობის მწარმოებელ მასწავლებლებს. აღმზრდელითი მუშაობის მხარეები შემდეგია:

უნდა მოეწყოს ბავშვებისთვის დიღები, რომელშიაც თვით ბავშვებმა უნდა მიიღონ მონაწილეობა. შეიძლება საბავშვო სახლის ბავშვები წავიყვანოთ სადმე საექსკურსიოდ. ექსკურსიის შინაარსი გასაგები უნდა იყოს ბავშვებისთვის და არავითარ შემთხვევაში არ უნდა მოვაწყოთ ისეთი ექსკურსიები, როგორსაც აწყობენ პიონერები ან ოქტომბრელები. როდესაც პიონერები თავიანთ კლუბებში მართავენ საღამოს ან ატარებენ რაიმე დღესასწაულს, დასასწრებლად საბავშვო სახლის ბავშვებიც უნდა წაიყვანონ.

დიდი ყურადღება უნდა ექნეს მიქცეული თამაშის ჩატარებას. აქაც ანგარიში უნდა გავუწიოთ მას, რომ ბავშვს სუსტი ორგანიზმი აქვს, და ამიტომ უბრალო და იოლი ხასიათის თამაშობანი უნდა ჩავატაროთ.

შეიძლება აგრეთვე საბავშვო ბაღის ბავშვებში ჩატარებულ იქნას საუბარი, მაგრამ საუბრები უნდა ეხებოდეს მხოლოდ და მხოლოდ იმ საკითხებს ცხოვრებისა, რომელიც თვით საბავშვო ბაღშია.

ბავშვებს უნდა ვასწავლოთ პიონერული და რევოლუციონური სიმღერები, რის შესრულებაც ადვილად შეუძლიათ პიონერებს.

პატარა ბავშვებისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს ფიზიკურ აღზრდასაც. პიონერები უნდა ეცადონ



შეაჩვიონ ბავშვები სისუფთავეს, კბილების წმენდას, ხელ-პირის ბანას და სხვ.

პიონერები უნდა ცდილობდნენ უფროსი ბავშვები მოამზადონ ოქტომბრელთა ჯგუფებში ჩასაწერად. აღმზრდელობითი მუშაობის მთავარი მიზანი ის არის, რომ განავითაროს ბავშვებში ამხანაგური გრძნობა, შეაჩვიოს ისინი კოლექტიურ ცხოვრებას. ამისთვის კი ყოველგვარ მუშაობას და მოქმედებას კოლექტიური ხასიათი უნდა ექნეს. ეს შეიძლება განხორციელდეს ერთად თამაშის, ერთად მეცადინეობის, ერთად სეირნობა — ექსკურსიის დროს. უნდა ვეცადოთ თვით ბავშვებში გავავლივით ამხანაგური გრძნობა, უნდა ვადგენოთ თვალყური, რომ ადგილი არ ექნეს ერთიმეორესთან დაჯიბრებებს, ჩხუბს და სხვ.

საბავშვო ბაღის აღმზრდელ-მასწავლებელთან პიონერებს მჭიდრო კავშირში უნდა ჰქონდეთ. ყოველ მუშაობას პიონერ-კოლექტივი მასწავლებლებს უნდა უთანხმებდეს. მაგალითად, თუ კოლექტივს განზრახული აქვს საბავშვო ბაღისთვის შრომითი დახმარების გაწევა, სანამ მუშაობას დაიწყებდეს, წინასწარ უნდა შეუთანხმდეს მასწავლებლებს, რომ ყველაფერი მოწესრიგებული იქნეს. ამისთვის კოლექტივს უნდა ჰყავდეს წარმომადგენელი საბავშვო ბაღის საბჭოში.

როგორც ვხედავთ, მუშაობა რთულია, მოუფიქრებლად, უგეგმოდ მისი ჩატარება არ შეიძლება. კოლექტივმა მას უნდა მისცეს ორგანიზაციული ხასიათი, ე. ი. ყოველგვარი მუშაობა უნდა ტარდებოდეს არა ისე, როგორც ეს რომელიმე პიონერს მოეწონება, არამედ უნდა არსებობდეს გარკვეული

გეგმა, რომელსაც ყველა პიონერი უნდა ანხორციელებდეს შეერთებული, კოლექტიური ძალით. როდესაც კოლექტივი ამუშავებს თავისი მუშაობის გეგმას, ამ მუშაობის გეგმაში შეტანილი უნდა იქნას საბავშვო ბაღებში მუშაობაც. გამომუშავებულ გეგმას ეცნობა ყველა პიონერი, ტარდება ამის შესახებ საუბარი კოლექტივში და რგოლებში, პიონერები იღებენ დავალებებს და შეუდგებიან მუშაობას. ისეთი საკითხები, რომელიც შეიძლება პიონერის ძალით გადაწყდეს, სისრულეში მოყვანილ იქნება თვით პიონერის მიერ, მაგრამ თუ ისეთი საკითხია, რომელიც პიონერთა ძალას აღემატება, მაშინ მისი მოგვარება კომკავშირის უჯრედის საშუალებით ხდება.

დიდი მნიშვნელობა აქვს მუშაობის აღრიცხვას. ის, რაც ამ დარგში გაკეთდება, პიონერების მიერ ჩაწერილი უნდა იქნეს კოლექტივის ოლიურში, აგრეთვე მასალები უნდა შევავროვოთ კოლექტივის კედლის გაზეთებისთვის და კუთხეებისთვის.

თუ ერთ ქალაქში რამოდენიმე საბავშვო ბაღია და მასზე მიკედლებულია სხვადასხვა კოლექტივები, საჭიროა ამ კოლექტივებმა ერთიმეორეს გაუზიარონ გამოცდილება; ამისთვის ისინი უნდა დაუკავშირდნენ ერთიმეორეს, გააცნონ თავიანთი მუშაობის მხარეები და ამგვარად შეიძინონ გამოცდილება. საჭიროა აგრეთვე ერთი საბავშვო ბაღის ბავშვებს გავაცნოთ სხვა საბავშვო ბაღის ბავშვები, რისთვისაც უნდა მოეწყოს ხოლმე ერთად გასეირნება, საუბრები, ამით კი ხელს შევუწყობთ ერთმანეთს შორის მათ შეკავშირებას.

მხოლოდ ენერგიული მუშაობით შეიძლება ყველა ამის გაკეთება.

დიპლოდოკი და ტრიცეპტოკსი.

შორეულ გეოლოგიურ ეპოქებში გაცილებით უფრო დიდი ცხოველები იყო, ვიდრე ახლა. განსაკუთრებით ითქმის ეს ქვეწარმავლების შესახებ: ნიანგები, კუ, გველი და ხვლიკი ე. წ. მეზოზოიურ ეპოქაში, „ქვეწარმავლების საუკუნეში“, საშინლად დიდი იყვნენ. ამისი მიზეზი იყო მაშინდელი ჰავა, რომელიც ტროპიკულ ჰავაზე უფრო ცხელი იყო. შემდეგ, ჟამთა ვითარებაში, ჰავა თანდათან გამოიცვალა, და ეს ვეებერთელა საშინელი არსებანიც გადაქრნენ.

მეტად თავისებური და საშინლად დიდი ქვეწარმავალი იყო ე. წ. დიპლოდოკი, რომლის ძვლები ბევრჯერ იპოვეს უაიომინგის შტატში, ჩრდილო ამერიკაში. ბექებთან დიპლოდოკი ისეთივე სიმაღლის იყო, როგორც თანამედროვე უდიდესი სპილოები. უკანა ფეხების სიმაღლე 4 მეტრს უდრიდა. ტანი


გრძელი ჰქონდა— $3\frac{1}{2}$ მეტრი, თათი—ოთხი, სწორი, ძალზე მსხვილი, ხუთთითიანი. ორ განაპირა თითს ყოველ თათზე ჰქონდა ბლაგვი მორგვალეული ჩლიქი, საშუალებს კი—საშინელი ბასრი ბრჭყალები. სირაქლემას კისერის მსგავს გრძელ კისერზე ჰქონდა შედარებით პატარა თავი, სიგრძით ნახევარი მეტრი. კბილები პატარები ჰქონდა, კისერი და თავი ტანზე ორჯერ უფრო გრძელი იყო, ე. ი. 7 მეტრი, კუდი კი, რომელიც თანდათან წვრილდებოდა, 15 მეტრი ჰქონდა და, ალბათ, ძალზე მოქნილი იყო. ამით იგერიებდა იგი თავის მტრებს, ხორცის მჭამელ ცხოველებს.

დიპლოდოკი მცენარეებით იკვებებოდა. ის ტბებში შევიდოდა ხოლმე, როდესაც მტრებს ემალებოდა; ქვეწარმავალს არ შეუძლია წყალში სუნთქვა, მაგრამ მას გრძელი კისერი შეელოდა და არ იხრჩობოდა.


თანამედროვე ხელოვნება და სხვა ქვეწარმავალ-ნი პირდაპირ სასაცილონი არიან ამ უზარმაზარ ხელოვნ-თან შედარებით, მაგრამ ამას წინათ აღმოსავლეთ აფრიკაში აღმოაჩინეს. ე. წ. „გიგანტოზავრების“ ჩონჩხები, რომლებთანაც შედარებით ფრიალ პატარა მოჩანან შორეული ეპოქის საშინელებანი—დიპლოდოკები.

ჩვენ დღეს გვაკვირვებს ზოოლოგიურ ბაღებში ტლანქი და უზარმაზარი მირტორქა, მაგრამ წარმოდგენაც კი ძნელია, თუ რას ვიზამდით, გალიაში რომ დაგვენახა უძველესი ხანის ქვეწარმავალი—ტრიცერატოპსი! მისი სიგრძე უდრიდა 8 მეტრს. ტრიცერატოპსს ცხვირზე ჰქონდა უზარმაზარი რქა, თვალებს ზევით—კიდევ ორი რქა. კისერზე—ძვლის ნაკეცი საყელო, ღინგთან—თუთიყუშის ნისკარტის ფორმის საშინელი ნისკარტი. მთელი ტანი დაფარული ჰქონდა წაწვეტებული ძვლის პატარა ფარებით, კული, კენგურუს კულის მსგავსი, ასეთივე ჯავშანით ჰქონდა დაფარული. ტრიცერატოპსი ცხოვრობდა ცარცის ეპოქაში; პირდაპირ საოცარია, რა უხვად იყო ის ბუნებისგან დაჯილდოებული თავდაცვის იარაღებით: სამი საშინელი რქა—შეტევისათვის და მტრის გადასაგდებად, კისერზე, რქებს უკან—ძვლის ჯავშანი; გვერდებზე—რკინის ფარები და უკან კი მძლავრი კული, რომელსაც ოდნავ გაი-

ძლება შინაგანი ორგანიზაციის განუფითარებლობამ. მეცნიერებს ჯერ ვერ გადაუწყვეტიათ, თბილი სისხლი ჰქონდა ტრიცერატოპსს, თუ ცივი. კლავიაჩი კი იმ აზრისაა, რომ მას აუცილებლად თბი-



ლი სისხლი უნდა ჰქონდა, ვინაიდან ძალზე დიდი იყო და ძალიან ბევრ ენერჯიას ხარჯავდა. ტრიცერატოპსი კვერცხებს არ სდებდა, მას ერთი ცოცხალი შვილი ეყოლებოდა ხოლმე. აღსანიშნავია ერთი რამ: ამ უზარმაზარ ცხოველს ძალიან პატარა ტვინი ჰქონდა, გამოჩენილი იყო და აკლდა გამჭრიახობა და მოხერხება. საკმარისია კარგად დააკვირდეთ ჩონჩხს, რომ დარწმუნდეთ, რამდენად პატარა ადგილი ჰქონდა ტვინს ამ უზარმაზარ, 8 მეტრის სიგრძე თავში. გარდა თავისა, ტვინი მას ჰქონდა კულის დასაწყისთან, რაც ამ ცხოველის არანორმალურ განვითარებას მოწმობს: მას ჰქონდა ტვინის ორი ცენტრი, და ამიტომ ის რეგრესიულად ვითარდებოდა. ვინც დღე-ღამ თან ატარებს მთელ არსენალს, რომ მტერი მოიგერიოს, იმის გენიალობაზე ლაპარაკიც ზედმეტია. ასეთი ცხოველებისთვის საკმარისი იყო ბუნებრივი, ნაჩვევი პირობების გამოცვლა, რომ ისინი ვერ შეგუებოდნენ ამას და დაღუპულიყვნენ. დადის ქვის სახლის სიმძიმე ტრიცერატოპსი მუდამ ერთ ადგილებში, დადის ღინჯად და ზღაპრით და უცბად იმ ადგილებში ჩნდება ჭაობი. მოისაზრებს ის სხვა ადგილის მოძებნას? არა, ის ისევ იმავე გზით ივლის და დაიღუპება კიდევ. ან იქნებ იმ ადგილებში წყალი მოვარდა. მას რბენა არ შეუძლია, ანდა არ ესმის, რა საფრთხე ელის, და იღუპება.



ქნევდა ხოლმე სიარულის დროს და ისე ამსხვრევდა ხელის სისხლს ხეებს, როგორც პატარა ჩხირებს. თუ უკნიდან მიეპარებოდა მტერი, ეს კული იყო მისი მოსაგერიებელი იარაღი. ნისკარტი? ისიც ხომ საშინელი რამ იყო! რამ დაღუპა ეს საშინელი არსებანი? შეიძლება ეს უზარმაზარი ცხოველნი წყალმა დაღუპა, შე-

ასეთი პირობების გამო დაიღუპნენ ესოდენ ვეებერთელა ცხოველები და ახლა მხოლოდ მათი ძვლები მოწმობს, თუ რამდენად დიდები და საშინელნი იყვნენ ისინი.



ჩვენი მაჟორული სახელმწიფოები.

ჩვენს მეზობლად, საბჭოთა კავშირის დასავლეთით, ბალტიის ზღვიდან დაწყებული შავ ზღვამდე მდებარეობს მთელი რიგი პატარ-პატარა ბუჩუაზიული სახელმწიფოები. ეს სახელმწიფოებია: ფინეთი, ესტონეთი, ლატვეთი, ლიტვეთი, პოლონეთი და რუმინეთი (იხ. რუკა).

ჩვენი მიზანია გავეცნოთ ზემოდასახელებულ სახელმწიფოებსაც, რომლის უმეტესობა იმპერიალისტური ომის შემდეგ წარმოიშვა. ისინი მდებარეობენ მცირეოდენ მიწებზე; მათ ერთმანეთში არ აქვთ არც სამეურნეო და არც პოლიტიკური ურთიერთობა.

ეს სახელმწიფოები უმთავრესად აგრარული ქვეყნებია, ესე იგი ისეთი ქვეყნებია, სადაც უმთავრესად სოფლის მეურნეობას მისდევენ. ამიტომ ისინი წარმოადგენენ კაპიტალისტური ქვეყნებისათვის ბაზარს, სადაც შეეძლება დიდ სახელმწიფოებს სამრეწველო საქონლის გასაღება.

ჩვენი მეზობელი პატარა სახელმწიფოები დიდი კაპიტალისტური სახელმწიფოებისათვის პოლიტიკურ იარაღს შეადგენენ.

ისინი ემსახურებიან კაპიტალისტურ სახელმწიფოებს და საბჭოთა კავშირის გარემოცვისა და ბრძოლისათვის ემზადებიან.

თუ გავეცნობით ჩვენი მეზობლების კაპიტალისტურ განვითარებას, იმ შემთხვევაში დავინახავთ, რომ ომის შემდეგ მეურნეობის აღდგენა ამ ქვეყნებში ნელის ნაბიჯით მიდის წინ, ასე რომ კაპიტალიზმის სტაბილიზაცია (აღდგენა) ამ ქვეყნებში არც ისე მკვირვია. ამ ქვეყნებში უკანასკნელ წლებში ჩვენ ვამჩნევთ, რომ სოფლის მეურნეობის ზრდას მოეწია მრეწველობის ზრდა. ამიტომ ჩვენთვის საინტერესოა იქნებოდა გავეცნო ეს ქვეყნები.


გაცნობა დავიწყოთ ფინეთით.

ფინეთი.

ფინეთი საბჭოთა კავშირის ჩრდილო-დასავლეთით მდებარეობს. სამხრეთით მას საზღვრავს ფინეთის უბე, ლენინგრადის გუბერნია და ლადოგის ტბა; დასავლეთით კი - ბოტნიის უბე და ნორვეგია; აღმოსავლეთით საზღვრავს საბჭოთა კავშირის კარელიისა და მურმანის მხარე; ჩრდილოეთით ფინეთის საზღვარი აღწევს ყინულოვან ოკეანემდე (იხ. რუკა).

ფინეთში მკაცრი და ცივი ჰავაა, ქვეყანა დაფარულია ტყეებით, ტბებითა და ჭაობებით.

კლდოვანი მთები და აუარებელი ტბა შეიქნა მიზეზი იმისა, რომ ფინეთში სოფლის მეურნეობა ვერაა საკმარისად განვითარებული. მაგრამ ფინელების მუყაითმა შრომამ და ბრძოლამ მკაცრ ბუნებას-



თან მაინც შესაძლებელი გახდა მეურნეობის წარმოება, ამიტომ ფინეთში მაინც ბლომადაა საბალახოები და საუკეთესო მინდვრები ჭირნახულისათვის.

ფინეთის მთელი მოედანი შეიცავს 325 ათას კვად. კილომეტრს. მცხოვრებთა რაოდენობა სამ მილიონ ნახევრამდე აღწევს. მცხოვრებთა უმეტესი ნაწილი სოფლებში ცხოვრობს. 1920 წლიდან ქალაქის მოსახლეობაც გაიზარდა, ასე რომ ამჟამად ფინეთის ქალაქებში მცხოვრებთა რაოდენობამ 16%

მდე მიატანა. უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში მოსახლეობის ზრდამ მრეწველობის განვითარებას ხელი შეუწყო. ვითარდება ფინეთში ვაჭრობაც. აქ ძალზე გავრცელებულია მეჯოგეობა, რომელიც, რასაკვირველია, ხელს უწყობს რძის პროდუქტების დამზადებას; რძის პროდუქტები ფინეთიდან საზღვარგარეთ გააქვთ. თუმცა ფინელები პურსაც სთესვენ, მაგრამ საკუთარი პური მათ მაინც არ ჰყოფნიან და ამიტომ პური საზღვარგარეთიდან შემოაქვთ. ფინეთი ტყეებითაა დაფარული; ამიტომ მეტყეობას აქ მრეწველობითი მნიშვნელობა ეძლევა. სამრეწველო მუშების უმეტესობას სატყეო მრეწველობის მუშები წარმოადგენენ. ფინეთში სწარმოებს აგრეთვე ქვის დამუშავება, მისდევენ მეჭურჭლეობას და მინის დამუშავებას. მცირეოდნად საფეიქრო მრეწველობაცაა განვითარებული. მრეწველობის დანარჩენი სახეები ფინეთში მოისუსტებს. აქ მიწა პატარ-პატარა ნაწილებად და დანაწილებული. ამიტომ ფინეთი წვრილ მესაკუთრე გლეხთა და მოიჯარადრეთა ქვეყანას წარმოადგენს.

თითოეული ქვეყნის სახალხო მეურნეობის შესწავლისათვის საჭიროა გათვალისწინება იმისა, თუ რა გააქვს თითოეულ ქვეყანას საზღვარგარეთ ან და რა შემოაქვს საზღვარგარეთიდან. ამნაირად ჩვენ ვიცით, რომ ფინეთს გააქვს საზღვარგარეთ უმთავრესად ტყის მასალა და ქაღალდი; ფინეთიდან გადის აგრეთვე, როგორც უკვე აღვნიშნეთ, რძის პროდუქტებიც. საზღვარგარეთიდან კი ფინეთში შემოაქვთ პური, მანქანები, ლითონი და სხვადასხვა ქსოვილები. ფინეთი აწარმოებს უმთავრესად ვაჭრობას კაპიტალისტურ ქვეყნებთან, მაგრამ ამ ბოლო დროს საბჭოთა კავშირთანაც დაიწყო ვაჭრობა.

1917 წლამდე ფინეთი რუსეთის ნაწილს წარმოადგენდა. თებერვლის რევოლუციის შემდეგ, მიუხედავად კერენსკის მთავრობის წინააღმდეგობისა, ფინეთმა გამოაცხადა დამოუკიდებლობა და გამოეყო რუსეთს. რუსეთის მუშებმა და გლეხებმა, რომლებმაც ოქტომბერში ძალა-უფლება ჩაიგდეს ხელში, თითოეული ეროვნების მშრომელთა თვითგამორკვევა და დამოუკიდებლობა იცნეს. საბჭოთა ხელისუფლებამ ყველაფერი ეს საქმით დაამტკიცა და პირველად იცნო ფინეთის დამოუკიდებლობა. ფინეთში 1917 წლის მიწურულში და 1918 წლის

დასაწყისში საბჭოთა ხელისუფლება არსებობდა, მაგრამ აქაურმა ბურჟუაზიამ გერმანიის ჯარების დახმარებით ძალა-უფლება ხელში ჩაიგდო და სასტიკად გაილაშქრა მუშებისა და გლეხების წინააღმდეგ.

შემდეგ ფინეთის ბურჟუაზია გენერალ იუდენიჩს ეხმარებოდა, როდესაც ის საბჭოთა რუსეთს თავს ესხმოდა. იუდენიჩის დამარცხებისა და განდევნის შემდეგ ფინეთსა და საბჭოთა რუსეთს შორის 1920 წლის აპრილში მშვიდობიანობა ჩამოვარდა და მათ შორის ხელშეკრულება დაიდო. ფინეთის ბურჟუაზიამ, მიუხედავად ხელშეკრულებისა, კვლავ მოაწყო თავდასხმა 1921 წელს საბჭოთა რუსეთში შემავალ კარელიის მშრომელთა კომუნის წინააღმდეგ, მაგრამ დამარცხდა და ზავი ჩამოაგდო.

ფინეთის რესპუბლიკის სათავეში პრეზიდენტი, რომლის უფლებები თანდათან იზრდება. ქვეყანას განაგებს აგრეთვე პარლამენტი (სეიმი) და მინისტრთა კაბინეტი. პრეზიდენტი ნიშნავს ფინეთის მთავრობას; მთავრობა სეიმის ნდობით უნდა იყოს აღჭურვილი. ამჟამად სეიმში უმეტესობას სოც. დემოკრატები შეადგენენ. მთავრობაც სოც. დემოკრატებისაგან შესდგება. ფინეთის მენშევიკები თავის თავს „მუშათა პარტიას“ ეძახიან. ეს არაა მართალი, ისინი უფრო ბურჟუაზიის მაჩანჩალები არიან. ფინეთის მუშებმა კარგად იციან, თუ რას წარმოადგენენ სოც. დემოკრატები და ამიტომ ისინი კომუნისტურ მოძრაობას ემხრობიან.

ფინეთის ბურჟუაზიას ჰყავს არმია—30 ათასი მეთარაღებული ჯარისკაცი. ამას გარდა მის განკარგულებაშია ფაშისტური სამხედრო ორგანიზაცია (შლიუცკორი), სანაპირო ჯარები და საკმაოდ ძლიერი ფლოტი. ფინეთში მთელი მოსახლეობის გასამხედროება წარმოებს. ნაწილობრივ გასამხედროება სკოლებშიც წარმოებს. მოწაფეებსა და ქალების გასამხედროებას ხელმძღვანელობს „შლიუცკორი“. მეორე საფეხურის სკოლაში სამხედრო საქმის სწავლება სავალდებულოდაა გახდილი როგორც ვაჟებისთვის, ისე ქალებისთვისაც. ფინეთში სამხედრო საქმეს დიდ ყურადღებას აქცევენ.

საბჭოთა კავშირი აწარმოებს მოლაპარაკებას მშვიდობიანობის და თავდაუსხმელობის შესახებ, მაგრამ ჯერჯერობით შედეგები არ ჩანს. ამის მიზეზი უნდა იყოს ინგლისი.

ალ. გორგაძე.

რ ა ლ ი მ

ა ნ ტ ე ნ ა.

შესაძლებელია, გქონიათ თქვენ შემთხვევა, გზაზე გასერიწების დროს, დაგენახათ სადმე ბაღში ანძა, რომლიდანაც გაჭიმულია სახლისაკენ მავთული. ეს იყო, ალბათ, მოყვარულის რადიო-სადგურის ანტენა. მისი სწორედ ის ნაწილი, რომელიც, ასე ვთქვათ, იჭერს ტალღებს და გადასცემს მათ მიმღებ წყოსში.

არსებობს ანტენათა სხვადასხვა სახე და მე მინდა ავიწეროთ ერთი ან ორი სახე. უფრო გავრცელებულია, „გადაბრუნებულ „L“ წოდებული ანტენა; იწოდება ასე იმიტომ, რომ მასში არის გასწვრივი და შვეული ნაწილი. შვეული ნაწილი იწოდება „შემყვანად“, ვინაიდან მისი საშუალებით დენი ანტენის მთავარი გასწვრივი ნაწილიდან შეწყვეთ შენობაში, სადაც დგას მიმღები წყოსი. სიგრძე შემყვანისა ჩვეულებრივ თითქმის ანტენის სიმაღლეს უდრის, საშუალოდ კი 9-10¹/₂ მეტრს შეადგენს.


ყველაზე უფრო მარტივი სახე ანტენისა — ეს ცალი სპილენძის მავთულია, მეტად მსგავსი იმისა, რომელსაც ხმარობენ ჩვეულებრივ ტელეფონის ხაზებზე. ეს მავთული მიმაგრებულია, ვთქვათ, 10-15 მეტრის სიმაღლის ბოძის წვეროზე, ბაღის შუა ადგილას. მიაბამენ აგრეთვე საკვამლურზე ანდა მილზე მიკრულ ხარხაზე. შემდეგ ამ სახლის უახლოესი საყრდენიდან თქვენ უშვებთ მავთულს შვეულად ძირს და ვაგყავთ ის, თუნდ სარკმლიდან, სასადილო ან სხვა ოთახში, სადაც განზრახული გაქვთ დადგათ თქვენი მიმღები.

თქვენ მიხვედრილი ხართ, რასაკვირველია, რომ ხერხი თქვენი ანტენის დამაგრებისა დამოკიდებულია თქვენსავე შეხედულებაზე. შეგიძლიათ, მაგალითად, გაჭიმოთ ის ბაღში მდგომი ერთ-ერთი ხიდან ზემო სართულის ფანჯარამდე ან ორ ხეს შორის. მხოლოდ უნდა გახსოვდეთ, რომ რაც უფრო მაღლა იქნება დადგმული თქვენი ანტენა, მით უფრო უკეთეს შედეგებს მიიღებთ.

პრაქტიკაში ანტენის დამაგრება არც ისე ადვილია, როგორც ახლა ვთქვი; თქვენთვის საჭირო იქნება მიიღოთ გამაფრთხილებელი ზომები მავთულიდან დენის გაპარვის წინააღმდეგ. რომ აცილებულ იქნას ეს გაპარვა, თქვენს მოგიხდებათ განმხოლოებლების ხმარება ყველა იმ ადგილში, სადაც გაშიშვლებულ სპილენძის მავთულს შეუძლია შეეხოს ხეს, სახლს, თოკის ნაჭერს ან რაიმე სხვა საგანს, რომლის მეოხებით შესაძლოა მოხდეს დენის გაპარვა. თუ თქვენ დაგიფარებთ ჩვეულებრივი ტელეფონის ბოძები, შეამჩნევდით მათზე პატარა ჭიქებს, რომლებზედაც დამაგრებულია სპილენძის გამტარები. სწორედ ესენი არიან განმხოლოებელნი. ისინი რომ არ ყოფილიყვნენ, რომ, მაგალითად, ტელეფონის გამტარები ყოფილიყვნენ მიმაგრებული ბოძების გასწვრივ კადონებზე, შესამჩნევი ოდენობა ელდენისა გამტარებიდან გაიპარებოდა ბოძში და ამ უკანასკნელიდან კი მიწაში, საიდანაც დაიკარგებოდა სრულიად უსარგებლოდ.

სწორედ ამ მიზეზის გამო ჩვენ ვხმარობთ განმხოლოებელს რადიო ანტენის დასახმარებლად, მხოლოდ ეს განმხოლოებელი რამოდენიმედ სხვა სახისაა, ვიდრე ტელეგრაფისა და ტელეფონის ბოძებზე მყოფები. წარმოვი-

დგინოთ, რომ ჩვენ გვაქვს ანტენა, შემდგარი ცალი გამტარისაგან, და ჩვენ გვინდა გავამაგროთ ის ბოძის წვეროზე ბაღის შუაში. ჩვენ კი არ ვაბამთ ჩვენს გამტარს პირდაპირ, ბოძებზე ვაკეთებულ, გამჭიმავ კოჭონაქის



ანტენა.

თოკზე, არამედ ჯერ დავამაგრებთ გამტარის ბოლოს განმხოლოებელში და შემდეგ განმხოლოებელს მივამაგრებთ თოკზე. ამრიგად, თუ დენი მოინდომებდა გაპარვას ანტენის გამტარიდან, იმისთვის საჭირო იქნებოდა გასულიყო განმხოლოებელში; ხოლო ვინაიდან განმხოლოებლებს ამზადებენ განსაკუთრებული მასალისაგან, მაგალითად ფაიფურისაგან, აბანდარისაგან და ა. შ., ისინი არ აძლევენ დენს საშუალებას გაიაროს მათში. ამგვარადვე დაგჭირდებათ თქვენ განმხოლოებელი სახლთან ანტენის უახლოესი ბოლოსათვის. სანამ ის არ ეხება სახლს, განმხოლოებლები არ არიან საჭირონი, მაგრამ როცა ანტენა შეწყვეთ სახლში, მაგალითად, სარკმელიდან, გამტარის გაშიშვლებული სპილენძი შეეხება სარკმლის ჩარჩოს, და ამით გამოწვეული გაპარვა დენისა ძლიერ მავნებლად იმოქმედებს თქვენს ნიშნებზე. ჩვეულებრივ ოთახში შეყვანისთვის იხმარება მინის ან ჭიმის მილნაკი.

ყოველივე ამავების გაკეთების ნაცვლად თქვენ შეგიძლიათ იხმაროთ განმხოლოებელი, ე. ი. ჭიმის ფენით დაფარული ან გასანთლული ქალაღის ძაფშემოხვეული მავთულის ნაჭერი.

ჩვეულებრივი მავთული, რომელსაც ხმარობენ ელექტრონის წკარუნისთვის, იწოდება „განმხოლოებულ მავთულად“, და მისი ნაჭერი შეიძლება იხმაროთ თქვენს სარკმელში შეყვანის მოსაწყობად. ოთახში შეყვანილი გამტარის ბოლო უერთდება თქვენი მიმღების „ანტენის მომჭერს“. ეს მომჭერი ჩვეულებრივ აღნიშნულია ხოლმე ასო ა-თი.

მანამდე, სანამ გადავიდოდეთ სხვა საკითხებზე, მე მინდოდა აღმენიშნა, რომ ზეგრი მოყვარული უმჯობესად სთვლის ცალი გამტარის მაგიერ იხმაროს ორი მავთული, გაყვანილი პარალელურად 1¹/₂ მეტრის მანძილზე ერთიმეორისაგან, სიგრძით თითოეული დაახლოებით 20 25 მეტრამდე. ეს ორი მავთული ჩამოიკიდება, როგორც გამაკი, ორ ნაბიჯს შორის, რომლებიც შესდგებიან ორი უბრალო ჯოხისაგან, დაახლოებით 1¹/₂ მეტრის სიგრძის. სახლის უახლოეს ბოლოში ეს ორი მავთული უერთდება ერთიმეორეს, და ცალა გამტარს შეჰყავს დენი თქვენს მიმღებში.

თქვენ გესმით, რომ ამგვარ პატარა წიგნაკში შეუძლებელია აიწეროს ანტენების ყველა სხვადასხვა სახე. მაგალითად, თუ თქვენ ცხოვრობთ ძლიერ ახლოს ფართედ-მაუწყებელი სადგურიდან, თქვენ საშუალება გექნებათ მიიღოთ კარგი ნიშნები ყოველგვარ გარეთა ანტენის უქონებლადაც, უბრალოდ განმხოლოებული მავთულის ერთი ბოლოს შეყვანით თქვენი მიმღების ანტენის მომჭერში და მავთულის გაყვანით ჰერის რომელიმე წერტილამდე, ან ზევით კიბეზე, რამდენადაც შეიძლება მალა. აქ მთელი საკითხი თქვენი წყლის მგრძობიერობაში და ფართედმაუწყებელი სადგურის თქვენგან სიახლოეში მდგომარეობს.



ანტენის სარკმლიდან შეყვანა: 1. განმხოლოებული მილნაკი. 2. შემყვანი. 3. ანტენა.

არსებობს კიდევ ტიპი ანტენისა, შემდგარი მხოლოდ უბრალო ჩარჩოსაგან, რომელზედაც ახვევენ განმხოლოებული მავთულის რამოდენიმე ხვეულს, მარჯულის მსგავსად, 0,9—1,8 მეტრამდე დიამეტრით. ამგვარი ანტენა ჩვეულებრივ იწოდება ჩარჩოიანი ანტენად; მისი ერთი ბოლო უერთდება თქვენი მიმღების ანტენის მომჭერს, მეორე კი — შემწვების გამტარისთვის დანიშნულ მომჭერს, რომელიც ჩვეულებრივად აღნიშნულია ასო ე-თი.

ეს ანტენა, სხვადა შორის, არ იძლევა ისე ძლიერ ნიშნებს, რომელსაც თქვენ ლებულობთ გარეთა ანტენიდან, რომელიც უნდა გირჩიოთ უმეტესი შემთხვევისათვის, თუმცა ზოგჯერ უხერხულია გარეთა ანტენის ამართვა. ჩარჩოიანი ანტენა უნდა იყოს მიმართული ყოველთვის ჩარჩოს წიბოთი იმ ფართედმაუწყებელი სადგურისაკენ, რომლის გაგონებაც თქვენ გინდათ.

როგორ უნდა მოაწყოთ კადნიერ-მიმღები განსაზღვრული სიგარძის ტალღებისათვის.

უკვე გელაპარაკეთ, რომ მიზეზი, რომლის მეოხე-ბითაც ჩვენ შეგვიძლია მივიღოთ ცნობები სხვადასხვა სახის სადგურებიდან ერთმანეთში აურევლად, მდგომარეობს იმაში, რომ ჩვენ შეგვიძლია მოვმართოთ ჩვენი ხელსაწყო ისე, რომ მივიღოთ ჩვენთვის საჭირო ცნობები. რა საშუალებით ვანხორციელებთ ჩვენ ამას სინამდვილეში? ახლავე გეტყვით ამას.

თქვენ იცით, რომ შეიძლება სკრიპკის სიმის მობართვა ხმის სხვადასხვა სიმაღლეზე, მისი სიგარძის შეცვლის საშუალებით. თქვენ შეგიძლიათ, მაგალითად, გადინაცვლოთ თქვენი თითი სიმის გასწვრივ და ამით არსებითად დაამოკლოთ სიგარძე მისი მრბევი ნაწილისა.

კადნიერ-მიმღებში ჩვენ უბრალოდ ვაერთებთ მავთულის კოჭას ანტენის შემყვანსა და შემწვების გამტარს შორის; ამ კოჭის სიგარძის ცვლით ჩვენ შეგვიძლება ვცვალოთ სიგარძე ტალღებისა, რომელზედაც მომართულია მიმღები. თქვენ არ უნდა იფიქროთ, რომ ანტენა და მავთულის კოჭა ერთოვალავენ სკრიპკის სიმის მსგავსად,

აქ არავითარი მექანიკური მოძრაობა არ არის მოძრაობის მხოლოდ ცვალებადი დენი მაღალი სიხშირისა, ანტენაში მცემი ტალღებით აღძრული. თუ თქვენი ანტენის ჯაჭვი აწყობილია 440 მეტრის სიგარძის მქონე ტალღების მისაღებად, მაშინ მხოლოდ ამგვარი ტალღები გამოიწვევენ ანტენაში ამ ცვალებად დიდი სიხშირის დენს. განსაზღვრული სიგარძის ტალღის მიერ აღძრული ტალღები გაჰყვებიან ანტენის ჯაჭვს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის სათანადოადაა აწყობილი; ანტენის ჯაჭვის აწყობის მთავარი ხერხი კი მდგომარეობს მავთულის კოჭის მასთან შეერთებაში და ანტენის ჯაჭვში ჩართულ ამ მავთულის ხვევათა რიცხვის თანდათანობით ცვლაში.

ასე, მაგალითად, თუ თქვენ აიღებთ მუყაოს მილს და მას შემოახვევთ განმხოლოებულ ჰაილენდის მავთულს 15 სანტიმ. სიგარძეზე, თქვენ მიიღებთ ხვიას, შემდგარს, დაახლოებით, 200 ხვეულისაგან. თუ თქვენ ამ მავთულის ხვიას ერთ ბოლოს შეუერთებთ ანტენას, მეორე ბოლოს კი მიწას, მაშინ თქვენი ანტენის ჯაჭვი შეიგარძნებს მხოლოდ ერთი განსაზღვრული, ვთქვათ, მაგალითისთვის, 1500 მეტრის სიგარძის ტალღებს, მაგრამ უფრო ნაკლები ხვევის ხმარების დროს, თუნდ 150, თქვენ მომართავთ თქვენი ანტენის ჯაჭვს, მაგალითად, 700 მეტრის სიგარძის ტალღების მისაღებად. უფრო და უფრო ნაკლები ოდენობის ხვევათა ხმარებით თქვენ მომართავთ თქვენს ანტენას სულ უფრო და უფრო მოკლე ტალღებზე. ტექნიკურ ენაზე ამგვარ მავთულის ხვიას ეწოდება „თვითინდუქციის კოჭა“ (თვითაღმნიჭვი კოჭა).

რაც უფრო გრძელი იქნება თქვენს ჯაჭვში კოჭა, მით უფრო გრძელი იქნება ტალღები, რომელთა მისაღებადაც მომართულია თქვენი ჯაჭვი. რაც უფრო მცირე თვითინდუქციის კოჭა გაქვთ, მით უფრო მცირე იქნება ტალღათა სიგარძე. თქვენ ახლა ხედავთ, რომ არ არის ძნელი მომართოთ თქვენი მიმღები იმრივად, რომ მან შეიგარძნოს გარკვეული სიგარძის ტალღათა ნიშნები. ფრიალ საჭიროა ამასთანავე, რასაკვირველია, რომ თქვენ შეგეძლოსთ თქვენი ჯაჭვის მომართვის შეცვლა დიდი სიხუსტით, ვინაიდან სხვაგვარ შესაძლებელია ვერ მიიღოთ ნიშნები იმ სადგურიდან, რომლიდანაც მათ მოელოთ. ამ მიზნით ჩვეულებრივ იხმარება ამა თუ იმ სახის ცვალებადი თვითინდუქცია, რომლის საშუალებითაც თქვენ შესძლებთ მავთულის ხვევათა რიცხვის შეცვლას თქვენს ჯაჭვში.

სურათი 18 გამოხატავს უბრალო სახის სრულიად მოწყობილ მიმღებ სადგურს. გოდლური (ცილინდრის მაგვარი) ხელსაწყო—სწორედ ეგ არის მომმართავი კოჭა, რომლიდანაც ყოველი განსაზღვრული რიცხვის ხვევის შემდეგ არის გაკეთებული წამგვრელები. ეს წამგვრელები, რომელთა მეოხებით კოჭა ხდება ცვალებადად, მოყვანილი არიან თანმხებ (კონტაქტების) ფოლაქებთან, რომლებიც აღნიშნულია სურათზე.

გადამართის თითბერის სახელური მოძრაობს ამ ფოლაქებზე იმგვარად, რომ შეიძლება არჩევა, რომელიც გინდათ ფოლაქისა. თუ გამოვიყენებთ სურათზე ნაჩვენებ ყველაზე ქვევითა, ე. ი. განაპირა მარჯვენა ფოლაქს, მაშინ სწორედ ამით გამოვიყენებთ ხვიის მთელ სიგარძეს; წინააღმდეგ, ზევითა ფოლაქის არჩევით ჩვენ გამოვიყენებთ ხვევათა პატარა რიცხვს და, მაშასადამე, ვიმუშავებთ მხოლოდ მცირე სიგარძის ტალღებთან.

ეს ცვალებადი თვითინდუქციის კოჭა არის სხვადასხვა სახის, მაგრამ ძირითადი პრინციპი ყოველთვის ერთიდაიგივე რჩება. პრაქტიკაში საქმე თქვენი ანტენის ჯაჭვში ჩართულ მავთულის ხვევათა რიცხვის შეცვლაზე და მოკიდებული.

გამოდის 1928 წ. გამოდის

თრკვირული საშაწვილთ დასუკათიეული

ჟურნალი

მოზრდილთათვის

პიონერი

წელიწადი III

ჟურნალი ს. ს. ს. რ. ყველა სკოლისათვის სავალდებულოა.

ლენინის სახელობის საქართველოს ბავშთა კომუნისტური ჯგუფების ყოველი წევრის, ორგანიზაციის ყოველი კოლექტივის, ბავშთა კომუნისტური მოძრაობის თითოეული ხელმძღვანელის, ბიბლიოთეკების და სამკითხველოების ვალდებულე-ბაა გამოიწერონ

პიონერი

მიიღება ხელმოწერა 1928 წლისათვის.

ჟურნალი ღირს გადაგზავნით:

- წელიწადში — 5 მან.
- ექვს თვეს — 3 მან.
- სამ თვეს — 1 მან. 50 კაპ.

ხალკე ნომერი — 25 კაპ.

მისაგარტი: ტფილისი, რუსთაველის გამზირი, № 22, სახეღკამი (მეორე სართული). „პიონერი“-ს და „ნაპადული“-ს რედაქცია.

რედაქტორი — სარკელაქსიო კოლეზიკა.